MES 6 22 0000036783

18/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28 – 29. 12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 00:31სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	სოფო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდ აწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
2.	ივანე ჯაგოდნიშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I-II-III-IV-V-VI-VII
3.	ირაკლი გაბისონია		სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	I-II-III-IV-V-VI-VII
4.	ეკატერინე შაკიაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
5.	მარიამ ჯიქია		სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
6.	თამარ კიკნაძე,		საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი	I-II-III-IV-V-VI-VII
7.	ალექსანდრე სიჭინავა		საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსი; - დემნა კვარაცხელია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
8.	ელენე მენაბდე		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
9.	ავთანდილ კიკნაძე		ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ ხელმძღვანელები	I-II-III-IV-V-VI-VII
10.	ნონა ლომიძე			
11.	ზურაბ კვეტენაძე		მაგისტრატურის საგანმანათლებლო	I-II-III-IV-V-VI-VII

			პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ ხელმძღვანელი	
12.	თამარ მალაღურაძე		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
13.	გიგილა გობეჩია		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ხელმძღვანელი;	I-II-III-IV-V-VI-VII
14.	თემურ ჯაგოდნიშვილი		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“ ხელმძღვანელი	I-II-III-IV-V-VI-VII
15.	ტარიელ კიკვაძე		პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
16.	დალი სეხნიაშვილი		პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
17.	ნაზი ჭიკაიძე		პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
18.	ლია მეტრეველი		პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
19.	თამარ ბერიძე		პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
20.	რუსუდან ლორთქიფანიძე		ასოცირებული პროფესორი	I-II-III-IV-V-VI-VII
21.	გია ნოდია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	VIII
22.	გიორგი გვალია		ვიცე-რექტორი, პროფესორი	VIII
23.	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	VIII
24.	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი	VIII
25.	გიორგი ოდოშაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	VIII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II

3	ეკატერინე მიქელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
5	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-VIII
6	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV-VIII
7	ლაშა ბაჟუნაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
8	სალომე ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
9	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
10	გიგი გიოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
11	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V – V1-VII
12	ნათია კუპრაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V – V1-VII
13	ნათია სვანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V – V1-VII
14	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	V – V1-VII
15	ფიქრია ასანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
16	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N458 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N472 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა (ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ბაზრის ანალიზი უნდა მოიცავდეს არა მარტო კერძო ორგანიზაციების, არამედ სახელმწიფო სექტორსაც.
2. რეკომენდებულია გაიზრდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები. პროგრამაში ასახული იყოს არა მარტო საბაკალავრო ნაშრომის არჩევის წინაპირობა, არამედ დაცვის წინაპირობაც, რომელიც ითვალისწინებს ყველა სასწვალო კურსის გავლას.
3. გადაიხედოს და მოდიფიცირდეს სასწავლო კურსები „ეკონომიკის საფუძვლები“ და „მიკროეკონომიკა“, განახლდეს კურსების შინაარსი, ძირითადი ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების შესაბამის დონესთან.
4. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ეკონომიკის საფუძვლები“, „მაკროეკონომიკა“, „მიკროეკონომიკა“, „მენეჯმენტის საფუძვლები“ ძირითად ლიტარატურაში გამოყენებულ იქნას თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული ქართულად თარგმნილი სახელმძღვანელოები (მაგალითად, რობინსი ს.პ. კოულტერი მ. „მენეჯმენტი“, თსუ, 2017; ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, თსუ, 2010ლ; გ. მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები“ და სხვა).
5. სასწავლო კურსებში „მიწის კადასტრი“ და „მიწის ადმინისტრირება“ ძირითად ლიტარატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ. მიწის რესურსების მართვა, 2013. სილაბუსებში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი თემები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში ინსტიტუციას გამორჩა მითითება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას გარდა ერთი რეკომენდაციისა. მისი თქმით, ისინი ვერ გაიზიარებდნენ რეკომენდაციას, რადგან საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს კურიკულუმით მე-8 სემესტრში გათვალისწინებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასწავლო კომპონენტს, რომლის სწავლის შედეგზე გასვლის სავალდებულო პირობა მოცემულია დაშვების წინაპირობებში. შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომი დაცვის მიზნებისთვის მე-8 სემესტრით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კურსების დაძლევა ვერ ჩაითვლება შედეგზე გასვლის აუცილებელ წინაპირობად. როგორც მან აღნიშნა, სავარაუდოდ რეკომენდაცია გამოიწვია, ონლაინ კომუნიკაციის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან კითხვის არასწორმა გაგებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და სთხოვა დაეზუსტებინათ დეტალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხი, კერძოდ, რომელ კურსებზეა საუბარი და პროგრამას ხომ არ აქვს სწავლის შედეგებზე გასვლის პრობლემა. ასევე, მისი თქმით, მსგავსი მოცულობის პროგრამისათვის 3 დამსაქმებლის გამოკითხვა არ არის რელევანტური.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ ერთერთი კურსი „ფილოსოფიის შესავალი“, რომელიც მოცემულია ძირითად სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, გადის პროგრამის ყველა სწავლის შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სწავლის შედეგი არის წმინდა დარგობრივი. როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული კურსის სილაბუსის არც შინაარსი და არც მიზანი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო კურსი გავიდეს პროგრამის რომელიმე სწავლის შედგეზე.

ექსპერტმა პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების გაზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, ძირითადად გამოწვეული იყო კონცენტრაციების მოხსნით, სასწავლო კურსების დარჩენით და ინტერვიურების დროს გამოკვეთილი ხარვეზით, რომ სტუდნეტები, რომლებიც სწავლობდნენ ძველ პროგრამაზე კრედიტების აღიარებასთან დაკავშრებით აწყდებოდნენ პორბლემებს. მისი თქმით, დაწესებულების პოზიცია იყო, რომ იგეგმებოდა ცვლიბები ამასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, აღნიშნული საკითხი პროგრამის სწავლის შედეგებზე დიდ ზეგავლენას არ მოახდენს. სასწავლო კურსებში გაწერილ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ „ფილოსოფიის შესავლის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით მათ არ დაუსვამთ შეკითხვები. ხოლო სასწავლო კურსი, რომელიც მათემატიკურ სტატისტიკას შეეხება, ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის წარმომადგენელმა, აღნიშნული საგანი იმდენად კომპლექსურად წარმოადგინა ეკონომიკასთან კავშირში, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი ნამდვილადაა ეკონომიკის მიმართულებით სასარგებლო და შედეგიანი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ “მათემატიკური სტატისტიკის“ სასწავლო კურსის მესამე სწავლის შედეგში გაწერილია, რომ „იყენებს ეკონომიკური ანალიზის ადეკვატურ მეთოდებს, მათ შორის სტატისტიკურ და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს, ასევე საბაზისო ეკონომიკურ და მათემატიკურ მოდელებს“, რაც საბჭოს წევრის თქმით განამტკიცებდა სწავლის შედეგს. თუმცა, საბჭოს წევრი დაინტერესდა სწავლის შედეგს - „განმარტავს ეკონომიკის ძირითად დებულებებს“, როგორ განამტკიცებს მათემატიკური სტატისტიკა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სასწავლო კურსის „ფილოსოფიის შესავალი“ სწავლის შედგებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილაბუსში იყო მითითებული იმასთან დაკავაშირებით, რომ გადიოდა გარკვეული ტიპის ყველა სწავლის შედეგზე, იმდენად

რამდენადაც ფილოსოფია ეს არის მეცნიერება, რომელიც არის საფუძველი, იმისათვის, რომ ადამიანს მისცეს ცოდნა თეორიული და შესაბამისად ლოგიკური აზროვნების უნარი. ამდენად შედეგზე - „აღწერს ეკონომიკის თეორიისა და ეკონომიკური მოდელების არსს“ პირდაპირ არ გადის, თუმცა გადის ირიბად იმ თვალსაზრისით, რომ ის აძლევს სტუდენტს ცოდნას, რომ მან განახორციელოს, განსაჯოს და შევიდეს ეკონომიკური თეორიის საწყისებში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ ფილოსოფია კრიტიკულლი აზროვნების განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სხვანაირიად იყო ფორმულირებული. მისი თქმით, პროგრამის შინაარსი მიყვება სასწავლო კურსის შედგეებს და ასწავლიდა სხვა რამეს (ონტოლოგიის პრბლემები, ფილოსოფიის განვიტარების ისტორიას, ეტაპებს), არსად არ არის ჩანაწერი, რომ მაგალითად ეკონომიკური სტატისტიკა უნდა განმარტოს ან რაიმე მსგავსი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად იყო სავადებულო აღნიშნული სასწავლო კურსი გადიოდეს პროგრამისი ყველა სწავლის შედეგზე და ამახნინჯებდეს ეს მიდგომა პროგრამას. საბჭოს წევრის თქმით პროგრამა ნორმალურადაა ფორმულირებული და ასეთი ტექნიკური ხარვეზები ამძიმებს პროგრამას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ მხოლოდ აღნიშნულ პროგრამაზე არ ყოფილა წამოჭრილი მსგავსი საკითხები. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში სწავლის შედეგებზე ზემოქმედების ხარისი არის ძალიან მნიშნელოვანი. ის იზიარებს პოზიციას, რომ კონკრეტული სასწავლო კურსი ყველა სწავლის შედგეზე არ უნდა გადიოდეს, თუმცა აღნიშნულ შემთვევაში ისეთი ზოგადი სასწავლო კურსი, როგორიცაა „ფილოსოფიის საფუძვლებია“ გარკვეულწილად ზემოქმედებს ყველა სწავლის შედეგზე. მისი თქმით იყო ხარვეზები და ეს იყო ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი პროგრამების პრობლემა, რომელიც გამოწვეული იყო ძველი მიდგომით, თუმცა მიმდინარეობს გამოსწორება, რის გარეშეც სწავლის შედეგების მექანიზმი სრულყოფილი არ იქნება.
დაწესებულების წარმომადგენელმა სასწავლო კურსთან „მათემატიკურ სტატისთიკასთან“ დაკავშირებით განმარტა, რომ მნიშვნელოვანი იყო რჩევა, სახელის გადარქმევასთან დაკავშრიებით, რომ ერქვას არა „მათემატიკური სტატისტიკა“ არამედ „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“. მისი თქმით, ეს მუდმივი დავის საგანი იყო და ეთანხმება იმას, რომ შეუძლებელია მათემატიკური სტატისტიკის კურსის წაყვანა ალბათობის თეორიის შესახებ მცირე ცოდნის გარეშე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თანაბარი წარმატებითაა შესაძლებელი იმის მტკიცება, თუ რომელ სწავლის შედგეზე გადის სასწავლო კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განამარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას იზიარებს ინსტიტუცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა (ეკონომიკის სამაგისტრო)

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სამაგისტრო პრაქტიკასთან დაკავშირებით იყო მსჯელობა. ერთის მხირივ ეს იყო რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა მიღებული პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილე სტუდენტებისაგან, რაც გაითვალისიწინეს და ცალსახად გამოიკვეთა. თუმცა, ამავე დროს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პრაქტიკა იყო აუიცლებელი, რასაც ასევე იზიარებს ექსპერტთა ჯგუფიც. მისი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში გაძლიერებული

უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსებში პრაქტიკული სიმლუაციები და ნაწილი, რაც კარგად არ იკვეთება. ექსპერტის თქმით, გასუბრების პროცესში, ინსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არ იყო შეცდომა ან დაუფიქრებელი ნაბიჯი, როდესაც პრაქტიკის ნაწილი იყო არჩევით კურსში გადატანილი. მისი თქმით სტუდენტების უმრავლესობა ამბობდა, რომ მაგისტრატურაზე ჩაბარების პროცესში მას უკვე ჰქონდა საქმიანი სტატუსი კონკრეტულ ორგანიზაციებში, რაც გახდა პრაქტიკის სასწავლო კურსის სასწავლო კურსებში გადატანის საფუძველი. თუმცა, დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებით, ექსპერტთა რეკომენდაცია მისაღებია ინსტიტუციისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ საბკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის ერთიდაიგივე 3 დამსაქმებლის გამოკითხვა არის არარელევანტური. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ გადახედა რამოდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსს, მაგალითად: „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“, რომელიც იწყება მშპ - ს განამრტებით. საბჭოს წევრის თქმით მაგისტრატურის საფეხურზე, სტუდენტისათვის მშპ-ს სწავლება არ არის შესაბამისი სწავლების საფეხურთან. მისი თქმით აღნიშნული საკითხი უნდა გასწორდეს. საბჭოს წევრმა, ასევე განმარტა, რომ გაეცნო სამაგისტრო ნაშრომებს, რომლებიც მისი თქმით გასაუმჯობესებელი იყო დასკვნების ნაწილში. ბევრ ნაშრომში შეინიშნებოდა, რომ დასკვნები იყო აღწერილობითი ხასიათის და არ ჩანდა კვლევის შედეგები და ლიტერატურაც მცირე რაოდენობით იყო მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ შრომის ბაზრის კველვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაზრის კვლევის პროცესში დამსაქმებლებთან კომუნიკაცია მიმდინარეობდა, როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკლავრო საფეხური სპროგრამებზე. როგორც მან აღნიშნა, ხარვეზს აღიარებს ინსტიტუცია. ეს არის წარმოდგენილი დოკუმენტის პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში „ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“, უნდა იყოს ნახსენები მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი. თუმცა შესაძლო არ იყოს საჭირო მისი განმარტება, რასაც იზიარებს ინსტიტუცია. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოგზავნილი იყო 5 სამაგისტრო ნაშრომი, საიდანაც საბჭოს წევრის მიერ ნახსენები სამაგისტრო ნაშრომი იყო დაბალი შეფასების.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამის შემთვევაში წარმოდგენილი იყო 8 დამსაქმებლის კვლევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:19

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

პირველი საკითხი: *სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა*

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და საკვლევი ობიქტების შერჩევის კრიტერიუმები;

2. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;

3. რეკომენდებულია გაიზრდოს პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;

4. პროგრამაში ასახული იყოს არა მარტო საბაკალავრო ნაშრომის არჩევის წინაპირობა, არამედ დაცვის წინაპირობაც, რომელიც ითვალისწინებს ყველა სასწვალო კურსის გავლას;

5. გადაიხედოს და მოდიფიცირდეს სასწავლო კურსები „ეკონომიკის საფუძვლები“ და „მიკროეკონომიკა“, განახლდეს კურსების შინაარსი, ძირითადი ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების შესაბამის დონესთან;

6. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ეკონომიკის საფუძვლები“, „მაკროეკონომიკა“, „მიკროეკონომიკა“, „მენეჯმენტის საფუძვლები“ ძირითად ლიტარატურაში გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული ქართულად თარგმნილი სახელმძღვანელოები (მაგალითად, რობინსი ს.პ. კოულტერი მ. „მენეჯმენტი“, თსუ, 2017; ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, თსუ, 2010; გ. მენქიუ, „ეკონომიკის პრინციპები“ და სხვა);

7. სასწავლო კურსებში „მიწის კადასტრი“ და „მიწის ადმინისტრირება“ ძირითად ლიტარატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ. მიწის რესურსების მართვა, 2013. სილაბუსებში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი თემები.

რჩევები:

1. სასურველია განხორციელდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსებისა და არჩევითი სასწავლო კურსების ოპტიმიზაცია;
2. პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში აისახოს თავისუფალი კომპონენტები;
3. სასურველია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსი „უძრავი ქონების ეკონომიკა“ და მის შინაარსში აისახოს უძრავი ქონების შეფასების ელემენტები/ან განხორციელდეს კურსის დასახელების კორექტირება;
4. სასწავლო კურსის შინაარსიდან (სილაბუსის მიხედვით) გამომდინარე, სასურველია დაკორექტირდეს სასწავლო კურსების „მათემატიკური სტატისტიკა“, „მეწარმეობა“ სახელწოდებები შემდეგნაირად: „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“. „მეწარმეობის ეკონომიკა“;
5. სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას;
6. გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და დამატებით ლიტერატურაში მითითებული იყოს როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი თანამედროვე, უახლესი ლიტერატურული წყაროებიც, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებას;
7. კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავების ამაღლებისთვის სასწავლო კურსში „ეკონომიკური პროცესების მოდელირება“ გიზარდოს პრაქტიკული (ან ლაბორატორიული) მუშაობის საათები;
8. უნივერსიტეტმა სასურველია გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მიმართულებით;
9. გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის;

10. სასურველია ბიუჯეტში ნათლად იყოს ასახული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ხელშემწყობისთვის საჭირო ფინანსები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: *სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა*
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
2. პროგრამის სწავლის შედეგეზე გასვლისათვის მნიშვნელოვანია „სამაგისტრო პრაქტიკა ეკონომიკაში“ გახდეს სავალდებულო კურსი;
3. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, ინოვაციური მენეჯმენტი და სხვა)შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან;
4. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;

5. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა და სამაგისტრო კვლევის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე/ლიტერატურაზე დაფუძნება.

რჩევები:

1. სასურველია მეტად გაიზარდოს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
2. მაგისტრანტობის კანდიდატისთვის წინასწარ იყოს ცნობილი სპეციალობაში შიდა გამოცდის საკითხები ჩასაბარებელი სასწავლო კურსების შესაბამისად. სასურველია აღნიშნული საკითხების ჩამონათვალი თან ახლდეს ტსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ საგანმანათლებლო პროგრამას;
3. სასურველია უნივერსიტეტს წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს;
4. კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან, ასევე, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია უცხო ენაზე“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლების აღნიშნული საფეხურისთვის სასურველია განხილულ იქნეს როგორც არჩევითი სასწავლო კურსი;
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის პროგრამის საშუალებითაც ნათელი გახდეს დაცვის წინაპირობა;
6. სასურველია გაიზარდოს სპეციალობის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა, მაგალითად, დაემატოს კურსები „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“, „აგრარული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, პრაქტიკული კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ისა და SPSS-ის გარემოში“ და სხვა, რომელსაც მიიჩნევს შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი დეპარტამენტი;
7. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი პროექტი (5 ECTS) და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად გადანაწილდეს კვლევითი კომპონენტის კრედიტები;
8. განახლდეს დამატებითი ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“, „ეკონომიკური განვითარება“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და გამოყენებული იყოს უახლესი ქართულენოვანი (სტატიები, მონოგრაფიები....) და უცხოენოვანი ლიტერატურა;
9. დაკორექტირდეს არჩევით სასწავლო კურსის „საქართველოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს ბაზარზე“ სახელწოდება, შინაარსი და ლიტერატურა. კურსი ფართო სპექტრით უნდა ასახავდეს კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელიც თავისთავად განიხილავს ანალიზს საქართველოსთან მიმართებაში;
10. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს (გარკვეული ფინანსების გათვალისწინება ამ მიმართულებით) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას და სტუდენტების ჩართულობას კვლევებში;
11. სასურველია მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
12. გაძლიერდეს მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური პერსონალის კვლევითი მიმართულებით განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის N456 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 24 სექტემბრის N457 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების" რუსულენოვანი საბაკალავრო და ,,საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა

თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირაკლი მანველიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 16-17 ნოემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ქართული ენის სწავლების პრაქტიკული კურსი სავალდებულო საგნად.
2. რეკომენდებულია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობის დაზუსტება.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.
4. რეკომენდებულია საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება. სტანდარტი
5. რეკომენდებულია პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფკასთან;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.
7. რეკომენდებულია პროგრამის გარე შეფასების პროცესს ჰქონდეს არამხოლოდ ფორმალური, არამედ შინაარსობრივი დატვირთვა, პროგრამა სრულად იქნეს განხილული, შესაბამისი მიმართულების, დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ, რომელთა რეკომენდაციებს განიხილავს თვითშეფასების ჯგუფი და სათანადო ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

8. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;
9. რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიით შექმნილი კითხვარების შემუშავება, პროგრამის განვითარების მიზნით, რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასადგენად და შესაბამისი კატეგორიის გამოსაკითხი პირებისგან სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.
10. რეკომენდებულია შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.
11. რეკომენდებულია ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომში პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებას არ დასაჭირდება ერთ წელზე მეტი დრო, რადგან რეკომენდაციების ძირითად ნაწილი ტექნიკური ხასიათისაა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ქართული ენის დამატებას, განაცხადა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი პროგრამაზე სავალდებულო სასწავლო საგნებად ისწავლება ის კონკრეტული უცხოური ენები, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშია პრიორიტეტული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კურიკულუმს გარეთ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ქართული ენა შეისწავლოს ნებისმიერი დონიდან, რისი რესურსიც აქვს ინსტიტუციას. გარე შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის მთელი რიგი მოდიფიცირებები განხორციელდა პროგრამის გარე შეფასებაში მიღებული შედეგებით, ამიტომ ინსტიტუცია ამას დიდ ყურადღებას უთმობს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მომდევნო წლიდან დამტკიცებული ფორმით წარსდგება საბჭოს წინაშე ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოდექსი, რომელიც ერთ დოკუმენტში გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუცია ეთანხმება დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების დიდ ნაწილს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას, ქართული ენის სავალდებულო კომპონენტად შემოღების თაობაზე, რადგან ნებისმიერი უცხოენოვანი პროგრამის შემთევავში, ქართული ენა არის სახელმწიფო ენა და ნებისმიერმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ ის უნდა ისწავლოს სავალდებულოდ, რისი შესაძლებლობაც არის აღნიშნულ პროგრამაში, რადგან არ აქვს მაინორ პროგრამა და არის თავისუფალი კომპონენტები, რის ხარჯზეც არის შესაძლებელი აღნიშნული საგნების დამატება. საბჭოს წევრმა უცხოენებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ კრედიტები კარგად არის განაწილებული, თუმცა მისი თქმით შეთავაზების პრინციპი არის ცოტა უცნაურად განსაზღვრული, რადგან ინგლისური ენა სასწავლო გეგმით არის სავალდებულო და სტუდენტი მოდის B1 დონით, ამიტომ ის რაც ისწავლება B1 დონით კიდევ ერთხელ მეორე ბლოკში შეთავაზება არის ზედმეტი. ასევე მეორე უცხოენაში შეთავაზებულია ისევ იგივე ენები, როგორც ძირითად უცხო ენებში, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და დამატებით ჩინური და

იაპონური. საბჭოს წევრმა ურჩია ინსტიტუციას, რომ ძირითადში ფრანგულთან და გერმანულთან დაკავშირებით რთულია იმის თქმა, რომ B1 დონიდან შეძლებს სტუდნეტი სწავლას, რადგან სკოლაში არჩევითი უცხოენებია და შესაძლებელია ბაკლავრმა თავიდანვე B1 დონით ვერ დაიწყოს სწავლა, ამიტომ უმჯობესია ის იყოს ერთხელ შეთავაზებული და შეთავაზებული დაბალი დონით. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, 5.3 ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშრებით, რომელიც შეეხებოდა ბაზრის სრულფასოვნად წარმოდგენას. საბჭოს წევრის შეფასებით აღნიშნული საკითხი უფრო მეტად შეეხებოდა პირველ სტანდარტს. ასევე, რა იყო 5.2 ქვესტანდარტში რეკომენდაციის გაჩენის საფუძველი, ვინაიდან 5.2 სტანდარტი გულისხმობს წინა რეკომენდაციების გათვალისწინებას.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული რეკომენდაცია არ უნდა იყოს 5.3 სტანდარტში. მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტი შრომის ბაზრის კველვასთან დაკავშირებით ნაკლებად შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია რუსულენოვან პროგრამაზე, სადაც საჭიროა უფრო დეტალიზებული კვლევა რათა სარწმუნო იყოს, რომ ამ ტიპის სპეციალისტებზე არის მოთხოვნა. საბჭოს წევრი დაინტერესდა ინსტიტუციის პოზიციით ამასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ რუბრიკაში არის იგივე ხარვეზები, რაც წინა ორი პროგრამის შემთხვევაში. საბჭოს წევრმა, განმარტა, რომ სასწავლო გეგმაში არის ძალიან საინტერესო კურსები, მისი თქმით ერთ-ერთი საინტერესო სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, არ გააჩნია წინაპირობა, თუმცა აღნიშნული კურსი არის წინაპირობა „ეკონომიკური დიპლომატიისა“. დაწესებულებას არასპეციალობის არჩევით კურსებში, შემოთავაზებული აქვს „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი არ აირჩევდა აღნიშნულ კურსს, რამდენად დაძლევადი იქნებოდა „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ სასწავო კურსი. მისი თქმით, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ საკმაოდ სერიოზულ თემებს განიხილავს, ამიტომ საჭიროებს პრე-რეკვიზიტს, ან წინარე ცოდნას ეკონომიკაში.
ექსპერტთა წევრმა, სოფიო უგრხელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრესი იყო ძალიან დიდი. მისი თქმით მე-5 სტანდარტში რეკომენდაციების და არა რჩევების არსებობა გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულება ნამდვილად მუშაობს თუმცა, მომავალი ნებისმიერი ტიპის გარე შეფასების დროს ექსპერტებს და საბჭოს ექენებათ ინფორმაცია იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა საკითხების გამოსწორებაზე გაამახვილა ყურადღება დაწესებულებამ. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის 5.3 სტანდარტში გაწერა გამოიწვია, იმან, რომ 5.3 სტანდარტი ითვალისიწნებს, პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, სადაც სხვა საკითხებთან ერთად დგას დამსაქმებლებთან ჩართულობის საკითხი. დამსაქმებლებთა კვლევა, გარკვეულ წილად გულისხმხობს შრომის ბაზრის კვლევას, აქედან გამომიდნარე შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რაც წარმოადგინა ინსტიტუციამ ამ პროგრამასთან მიმართებაში, დარგობრივი ჭრილი არ იკვეთებოდა, შესაბამისად ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაიწერილიყო 5.3 სტანდარტში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ შრომის ბაზართან მიმართებაში განმარტა, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრების დროს ასევე იცვლება ინფორმაციები, რასაც არამხოლოდ შრომის ბაზრის კვლევის დანიშნულება აქვს, არამედ ატარებს პრაქტიკულ ხასიათს. ქარულ ენასთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდი, სავარაუდოდ, ქართულ ენას შეიტანს სავალდებულო კურსებში. რუბრიკების ნაწილში, დაწესებულების წარმომადგლის თქმით, ნამდვილად არის ხარვეზი და დაწეყებულია ამ მიმართულებით მუშაობა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოფიო უგრეხელიძემ განმარტა, რომ ქართულ ენასთან დაკავშირებით, არგუმენტირებული პასუხის შემდგომ, ექსპერტებმა განიხილეს, რეკომენდაციის რჩევაში გადატანის საკითი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკის

ნაწილში, გაფორმებული დამსაქმებლების 99% წარმოადგენდა ქართულ საჯარო სექტორს, შესაბამისად სტუდენტები, რომლებიც მოინდომებენ პრაქტიკის გავლას, ისინი ვერ შეძლებენ ამას მინიმალური ქართული ენის ცოდნის გარეშე. აღნიშნულის გათვალისიწნებით, ექსპერტთა ჯგუფმა დატოვა რეკომენდაცია ქართულ ენასთან დაკავშრებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ლომიძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაანმარტა, რომ ისინი გაითვალისწინებენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ რეკომენდაციას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობის დაზუსტების შესახებ. მისი თქმით, ეკონომიკის პრინციპები, როგორც არასპეციალური არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოტანილი იქნება ძირითად სასწავლო კურსებში და დაედება წინა დისციპლინად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სასწავლო კურსს. ქართული ენის შეტანასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათი პოზიცია არ არის კატეგორიული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, ამიტომ აუცილებლად გადაიხედება გამოთქმული მოსაზრებები ქართულ ენასის დამატებასთან მიმართებაში.

15:51 საათზე, საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა (საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულიაა მოხდეს პროგრამის მიზნებში საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი შინაარსის დაკონკრეტება, რომ იყოს მკაფიო და მიღწევადი.
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-2 შედეგში მოხდეს ცოდნა გაცნობიერების და უნარის ნაწილების გამიჯვნა იმისათვის, რომ შედეგი იყოს მკაფიო და გაზომვადი.
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი მახასიათებლები (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), რათა შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი.
4. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის მე-7 შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება, კერძოდ, ამოღებულ იქნეს დარგობრივ კომპეტენციასთან შეუსაბამო შინაარსობრივი ფორმულირება ,,მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, და მოხდეს მოცემული დარგისთვის რელევანტური შედეგის ფორმულირება.
5. რეკომენდებულია სწავლის მე-8 და მე-9 შედეგების რეფორმულირება იყოს მკაფიო და გაზომვადი. კერძოდ, დაზუსტდეს რა იგულისხმება ,,მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში, და გაიმართოს წინადადება შინაარსობრივად - ,,ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას“.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსები: 1 გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი; 2. ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე, 3. საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.
7. რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში გადმოვიდეს შემდეგი სასწავლო კურსები: 1. საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე გამოწვევები, 2. საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე 6

საკითხები. 3. ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში ან ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი.

8. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო ეკონომიკა".
9. რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი.
10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მემორანდუმებში მიზნობრივად დააფიქსიროს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც მოემსახურება კონკრეტული დაწესებულება.
11. რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.
13. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არ იყოს ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება.
14. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;
15. რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიით შექმნილი კითხვარების შემუშავება, პროგრამის განვითარების მიზნით, რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასადგენად და შესაბამისი კატეგორიის გამოსაკითხი პირებისგან სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.
16. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის სრულყოფილი და უფრო სიღრმისეული კვლევა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, დარგობრივი საჭიროებების ჭრილში.
17. რეკომენდებულია, ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომში პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით განმარტა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა გამოიწვია გარემოებამ, რომ კონცენტრაციები და სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს ცალცალკე. მისი განმარტებით, პრობლემა წარმოიშვა, რადგან მოთხოვნის შესაბამისად დეტალიზებული იყო სწავლის შედეგი ისე, რომ კიდევ უფრო დეტალიზება კონცენტრაციებში პრაქტიკულად შეუსრულებელ ამოცანად დარჩა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მეტი კონკრეტიზაცია უშუალოდ კურიკულუმის ჭრილში გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნიდა. რაც შეეხება მიზნებს, ჩამოყალიბებულია 5 პუნქტად და ინსტიტუციის მოსაზრებაა, რომ კარგად არის წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი შემუშავებულია და დამტკიცებულია. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მისი შესრულებისთვის ცალკე სილაბუსი არ არის წარმოდგენილი, რადგან უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების თაობაზე. დაწესებულების

წარმომადგენლის მოსაზრებით, არ უნდა არსებობდეს კვლევითი კომპონენტის სილაბუსი. რადგან, სილაბუსი პირდაპირი განმარტებით, ეს არის სასწავლო კომპნენტის მომწესრიგებელი დოკუმენტი. არაფორმალურად, კვლევითი კომპონენტის დარეგულირებას სასწავლო პროგრამაში სჭირდება კონკრეტული ჩარჩოები და განაწესები, რაც ინსტიტუციას მოცემული აქვს საუნივერსიტეტო დონეზე, კონკრეტული დებულების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა თავმჯდომარეს მისი თქმით, ნახსენები იყო, რომ „საერთაშორისო ეკონომიკა“ შევიდეს სავალდებულო კურსებში. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იყო ნაგულისხმევი, საწყისი დონე თუ სამაგისტრო დონე. საბჭოს წევრი თქმით, თუ საუბარი იყო სმაგისტრო დონეზე, აღნიშნულ სასწავლო კურსს ჭირდება ორი წინაპირობა.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა, მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ, რამდენად ამართლებდა ოთხივე უცხოენით აპლიკანტის მიღება, რადგან თვითშეფასების გათვალისიწინებით პროგრამა იყო საკმაოდ მოთოვნადი და სტუდენტების რაოდენობა იყო სოლიდური. ასევე, სავალდებულო ლიტერატურის ათვისებით კუთხით როგორ იყო როგორ იყო დალაგებული აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებაში მეტი ინფორმაციის მოსმენა, რადგან გადმოგზავნილ დოკუმენტებში, სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც მაღალი ქულებით იყო შეფასებული უცნაურად იყო გაფორმებული და მითითებული იყო გაზეთები.

საბჭოს წერვმა, თამარ ჩხეიძემ სთხოვა ინსტიტუციას დაეზუსტებინათ სამაგისტრო ნაშრომის დებულებასთან დაკავშირებით საკითხი. საბჭოს წევრის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მითითებული დოკუმენტი, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და გაფორმების წესს. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომელ მარეგულირებელ აქტში იყო გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების კრიტერიუმები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ მიმრთა ექსპეტებს: სავალდებულო და არჩევით კურსების გადანაცვლებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის პასუხად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ხომ არ დაფიქრებულან აღნიშნული რეკომენდაციის რჩევაში გადატანაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა შეკითხვებს და საერთაშორისო ეკონომიკის სწავლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დარგობრივადაა აღიარებული, რომ საერთაშორისო ურთიერთობები წარმოდგენილია 3 მთავარი სისტემის სახით. (საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა) აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე, საერთაშორისო ეკონომიკის სწავლება სისტემურ ჭრილში არის უაღრესად მნიშვნელოვანი, ხოლო ის ფაქტი, რომ აუცილებელია წიანპირობა აღნიშნული სასწავლო კურსისათვის ეთქნამება საბჭოს. რაც შეეხება სავალდებულო და არჩევით კურსების გადანაცვლებას, ექსპერტმა განამრტა, რომ გაეცნო აღნიშნულ სილაბუსებს და სასწავლო კურსი „გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი“ ნაკლებად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც აუცილებელია მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია. ოთხივე უცხოენის წინაპირობად განსაზღვრასთან დაკავშრებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მსჯელობა ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციასთან და სტუდენტებთან. ექსპერტის თქმით, როგორც სტუდენტების ასევე ინსტიტუციის მხრიდან არგუმენეტები იყო დამაკმაყოფილებელი და ამავე დროს დაწესებულება არის ავტონომიური წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა ამ ნაწილში სარეკომენდაციო ხასიათის ხარვეზი. სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სამაგისტრო

ნაშრომები სრულდებოდა იმ მოთხოვნების დაცვით, რომელიც მითითებელი იყო მარეგულირებელი დოკუმენტით. ექსპერტის თქმით, ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სტუდენტებს ასევე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, ვისგანაც ექსპერტებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია ნაშრომებთან მიმართებაში. ექსპერტის თქმით ნაშრომებთან დაკავშირებით არსებითი კითვები არ წამოჭრილა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ სამგისტრო ნაშრომებთან მიმართებით შეკითხვა ექსპერტებთან დაისვა, რადგან 3.2 სტანდარტი შეფასებული იყო სრულ შესაბამისობაში. თუმცა, გადმოგზავნილი სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც შეფასებულია მაღალი ქულებით, ვერ აკმაყოფილებს გაფორმების წესს.
ექსპერტმა, სოფიო უგრეხელიძემ განმარტა, რომ გასაუბრების პროცესში, როდესაც საუბარი იყო პლაგიატთან დაკავშირებით, ინსტიტუციამ განმარტა, რომ არამხოლოდ სამაგისტრო, ასევე სადოქტორო ნაშრომების შემუშავებასთან დაკავშირებით მათ აქვთ რეგულაციები, თუმცა რეგულაციები იმ პერიოდისათვის იყო გარდამავალი ეტაპი, რადგან სტუდნეტები, რომლებიც ახლა ამთავრებენ, მეტნაკლებად მოერგნენ ახალ სირთულეებს. ექსპერტის თქმით, გასაუბრებისას ექსპერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ იგეგმება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამკაცრება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ საერთაშორისო ეკონომიკის სასწავლო კურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ ინსტიტუცია მსჯელობს აღნიშნულ საკითხზე და შეზღუდული კრედიტების რაოდენობის გათვალისიწნებით ინსტიტუციაა მიიღებს გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით 4 უცხოენასთან მიმართებაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა თავისი სპეციფიკით არ იძლევა შესაძლებლობას გამოეყენებინათ მხოლოდ საერთაშორისო (ინგლისური). პროგრამა ლიტერატურის ჭრილში, უზურნველყოფილია ლიტერატურით რა ენაზეც ხორციელდება პროგრამა. სამეცნიერო ბაზებთან წვდომის, ლიტერატურისა და დამატებითი ინტერესების კუთხით უზრუნველყოფილია პროგრამა. სწავლის შედეგების დაძლევის კუთხით პრობლემა არ დაფიქსირებულა. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა პროგრამაზე, სამაგისტრო ნაშრომები გადის შემოწმებას პლაგიატზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, გაფორმების წესთან დაკავშირებით იყო პრობლემები. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსზე უარს ამბობს ინსტიტუცია, თუმცა ცალ-ცალკეა გაწერილი კველვითი ნაშრომის შესრულების წესი და ფორმატი და ასევე, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, სადაც საუბარია არამხოლოს სამაგისტრო ნაშრომზე, ასევე ერთჯერადობის პრინციპის გათვალისწინებით დამატებით კომპონენტებზეც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მაგალითად მოიყვანა ერთ-ერთი სმააგისტრო ნაშრომი, სადაც 28-ე წყაროდ იყო მითითებული - ლ. აბაშიძე, გლობალიზმი, საერთო გაზეთი, 2008 წელი. ნაშრომი შესრულებული იყო 2018 წელს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 17:02

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
მესამე საკითხი (საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში

ასახული შეფასება, კერძოდ მე - 5 სტანდარტი ნაცვლას „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და საკვლევი ობიქტების შერჩევის კრიტერიუმები;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
3. რეკომენდირებული პროგრამას დაემატოს ქართული ენის სწავლების პრაქტიკული კურსი სავალდებულო საგნად;
4. რეკომენდებულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობის დაზუსტება;
5. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით;
6. რეკომენდებულია საერთაშორისო ურთიერთობების რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება;
7. რეკომენდებულია პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფკასთან;
8. რეკომენდებულია სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა;
9. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მეთოდოლოგიის, შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;
10. რეკომენდირებულია ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომში პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სავალდებულო პირველი და მეორე უცხო ენის შეთავაზების პრინციპი მათი განმეორების აღმოფხვრისა და დონეების კორექტირების კუთხით;
2. სასურველია ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს პროგრამის სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის კუთხით;

3. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე განახლებული დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება უახლოეს მომავალში, კანონმდებლობით დადგენილი სააკრედიტაციო პროცესების ვადების გათვალისწინებით, ასევე მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
4. სასურველია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომ პერსონალმა უფრო აქტიურად გამოიყენოს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმები, მათი საქმიანობის შეფასების შედეგები საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების შედეგები აუცილებელია ასევე ასახულ იქნეს მათ საქმიანობაზეც;
5. სასურველია ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასების შედეგების არამხოლოდ სტატისტიკის წარმოება, არამედ ანალიზის განხორციელება და პერსონალთან შესაბამისი უკუკავშირი, პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის;
6. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის სწავლასწავლების პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ კომუნიკაციას, პერსონალის მოთხოვნებისა და საჭიროებების, ასევე მათ მიერ განხორციელებული აქტივობების კვლევას. აღნიშნული კვლევის შედეგები კი დადარდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და განხორციელდეს მიღებული სიტუაციის ანალიზი, შემდგომი ღონისძიებების დაგემვა-განხორციელების მიზნით;
7. სასურველია დაწესებულების მიერ დამსაქმებლებისგან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით;
8. სასურველია პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო და ეროვნული ანალოგიების საუკეთესო გამოცდილების შესწავლისას მეტი სიზუსტის უზრუნველყოფა და დადარების კრიტერიუმების შემუშავება.
9. სასურველია პროგრამის გარე შეფასების პროცესის სრულყოფა და გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი (საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა)
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამის მიზნებში საერთაშორისო ურთიერთობების დარგობრივი შინაარსის დაკონკრეტება, რათა მიზნები იყოს მკაფიო და მიღწევადი;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-2 შედეგში მოხდეს ცოდნა გაცნობიერების და უნარის ნაწილების გამიჯვნა რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი;
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შინაარსობრივი მახასიათებლები (საერთაშორისო უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ეკონომიკა და ა.შ.), რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი;
4. რეკომენდებულია მოხდეს სწავლის მე-7 შედეგის შინაარსობრივი რეფორმულირება, კერძოდ, ამოღებულ იქნეს დარგობრივ კომპეტენციასთან შეუსაბამო შინაარსობრივი ფორმულირება ,,მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, და მოხდეს მოცემული დარგისთვის რელევანტური შედეგის ფორმულირება;
5. რეკომენდებულია სწავლის მე-8 და მე-9 შედეგების რეფორმულირება იყოს მკაფიო და გაზომვადი. კერძოდ, დაზუსტდეს რა იგულისხმება ,,მორალურ დილემებს საერთაშორისო ურთიერთობებში, და გაიმართოს წინადადება შინაარსობრივად - ,,ტოლერანტულია აზრისა და მიდგომების მრავალფეროვნებასთან მიმართებაში კონკრეტული სოციალური ფენომენის შესწავლისას”;
6. რეკომენდირებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და საკვლევი ობიქტების შერჩევის კრიტერიუმები;
7. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
8. რეკომენდებულია, პროგრამაში გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების (“გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი”; “ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე”, “საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა” , “საერთაშორისო უსაფრთხოება თანამედროვე გამოწვევები:, “საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები”, “ხისტი და რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში”, “ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკაშირი”) სტატუსი პროგრამის სწავლის შედგებთან შესაბამისობით;
9. რეკომენდებულია პროგრამა შეივსოს საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებით;
10. რეკომენდებულია შემუშავდეს პროფესიული პრაქტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი/სილაბუსი;

11. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მემორანდუმებში მიზნობრივად დააფიქსიროს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა და იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც მოემსახურება კონკრეტული დაწესებულება;
12. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
13. რეკომენდებულია საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლებასწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება;
14. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა;
15. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში არ იყოს ერთგვაროვანი შეფასების კომპონენტების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტური ათვისება;
16. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა და სამაგისტრო კვლევის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე/ლიტერატურაზე დაფუძნება
17. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების, დამტკიცების, შეფასებისა და განვითარების წესში მოცემული პროგრამის შეფასების მეთოდოლოგიის, შეფასების მკაფიო, ზუსტი და გაზომვადი კრიტერიუმების, ასევე ამ კრიტერიუმების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების დადგენა;
18. ყველა კატეგორიის დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში და მათთან ინტენსიური კომუნიკაცია რეალური საჭიროებებისა და მოთხოვნების ინდეტიფიცირების მიზნით, შემდგომში პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რჩევები:

1. სასურველია ფაკულტეტის ადმინისტრაციის ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს პროგრამის სტუდენტების კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმულაციები, მოდელირებები, სტუდენტური ფესტივალები და ა.შ.) მონაწილეობის კუთხით;
2. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე განახლებული დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება უახლოეს მომავალში, კანონმდებლობით დადგენილი სააკრედიტაციო პროცესების ვადების გათვალისწინებით, ასევე მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
3. სასურველია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომ პერსონალმა უფრო აქტიურად გამოიყენოს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შესაბამისი მექანიზმები, მათი საქმიანობის შეფასების შედეგები საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის ჩატარებული თემატური ტრენინგების შედეგები აუცილებელია ასევე ასახულ იქნეს მათ საქმიანობაზეც;
4. სასურველია ჩატარებული გამოკითხვებისა და შეფასების შედეგების არამხოლოდ სტატისტიკის წარმოება, არამედ ანალიზის განხორციელება და პერსონალთან შესაბამისი უკუკავშირი, პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის;
5. სასურველია დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშაოს და დანერგოს მექანიზმები, რომელბიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობისა და ამ პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ კომუნიკაციას, პერსონალის მოთხოვნებისა და საჭიროებების, ასევე

მათ მიერ განხორციელებული აქტივობების კვლევას. აღნიშნული კვლევის შედეგები კი დადარდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და განხორციელდეს მიღებული სიტუაციის ანალიზი, შემდგომი ღონისძიებების დაგემვა-განხორციელების მიზნით;

6. სასურველია დაწესებულების მიერ დამსაქმებლებისგან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N541 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაცია“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 დეკემბრის სექტემბრის N793 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკადარეპორტიორობა0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77,
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 27 ნოემბრის N722 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, მ.კოსტავას ქუჩა N77,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ და ნინო იმნაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ვინაიდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას შეეცვალა ხელმძღვანელი, რაც აღმოჩნდა წინაპირობა პროგრამის კონცეპტუალური ხაზის ცვლილებისათვის. პროგრამა შედგება სპეციალობის 2 და თავისუფალი კომპონენტების რვა მოდულისგან. პროგრამის ელემენტები კი (240 ECTS) შემდეგნაირად ნაწილდება: სავალდებულო სასწავლო კურსები 204 ECTS; პრაქტიკა 10 ECTS; საბაკალავრო ნაშრომი 5 ECTS; თავისუფალი კომპონენტები –21 ECTS; საბაალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნია მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაა 189. რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამას ჰყავს 205 აქტიური სტუდენტები. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის მანძილზე 33 - ია, ხოლო მათ შორის კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებული - 15. პროგრამის კურსდამთავრებულთაგან უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლას განაგრძობს 29 პირი. ვიზიტი წარიმართა ჰიბრიდულად 25 ოქტომბერს, გათვალისიწნებული დღისწესრიგის მიხედვით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი უნდა შეიცვალოს ,,ჟურნალისტიკის ბაკალავრი“, შესაბამისად დაზუსტდეს პროგრამის სახელწოდება;
2. სილაბუსებით გათვალისიწნებული მიზნები გადაიხედოს და დაკორექტირდეს მიზნებს შორის წინააღმდეგობა;
3. რეკომენდებულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის გაძლიერება/გავრცობა.
4. რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ქართული ენის ცოდნის დონე.
5. პროგრამის სტრუქტურაში შეთავაზებული იყოს არჩევითი დარგობრივი დისციპლინები;
6. პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა.
7. მიზანმიმართულად შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები მათი აქტუალობის მიხედვით და განისაზღვროს მათ მიერ პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის ხანგრძლივობა და კონკრეტული მიზნები.
8. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების

შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება.

9. პროგრამის განმახორციელებლები ძირითადად არ არიან დარგის სპეციალისტები, არც განათლებით და არც სამუშაო გამოცდილებით. ისეთი საგნები, როგორებიცაა: შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ტელევიზია და მასმედიის სისტემები და ა.შ. მნიშვნელოვანია ზემოხსენებული სასწავლო კურსები ისწავლებოდეს დარგის სპეციალისტებისა და პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის მიერ.
10. სწავლების პროცესში მოქმედი ჟურნალისტებისა და მედიამენეჯერების ჩართვა, ხელს შეუწყობს მომავალი ჟურნალისტებისთვის თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნების შესაბამისი აუცილებელი პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების გადაცემას.
11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს კურიკულუმების შედგენის იმ რეგულაციებით, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული;
12. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.
13. მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქრთველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კუპრაშვილმა განმარტა, რომ დარგობრივი კუთხით რეკომენდაციები გამოიწვია პირველ რიგში კვალიფიკაციამ, რადგან პროგრამის მიზანია გავიდეს მასობრივი კომუნიკაციის ბაკლავრიის კვალიფიკაციაზე და ამავდროულად წარმოდგენილია ჟურნალისტიკა. ექსპერტის თქმით, პროგრამას ეტყობა, რომ ის არის ორი მიმართულებით წასული და აკლია ორივე მხარე, როგორც ჟურნალისტიკა, რომელიც ცალკეა კვალიფიკაციათა ჩარჩოში, ასევე მასკომუნიკაციაც. მისი თქმით, თუკი უსდ გადაწყვეტს, რომ მასკომუნიკაცია დარჩეს, პროგრამას გაცილებით უფრო მეტად დასჭირდება დარგობრივი საგნებისა და აკადემიური ჯგუფის გაძლიერება. ექსპერტის თქმით ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ პროგრამის კვალიფიკაცია შეცვლილიყო და მიმართულება ყოფილიყო ჟურნალისტიკის ბაკალავრი, რადგან აღნიშნული მიმრათულებით უფრო მეტი საგანია პროგრამაში. ექსპერტის თქმით ამაზე იყო დაშენებული სხვა დანარჩენი რეკომენდაციები და რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მე-3 სტანდარტში არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ყველა სტუდნეტს აქვს ინდივიდუალური პროფილი, რომლის საშუალებითაც, მარტივი იდენტიფიცირებით, სტუდენტი იღებს პროგრამის ირგვლივ ყველა ინფორმაციას. ასევე, თითოეულ ფაკულტეტს აქვს თავისი ვებ-გვერდი, რომელიც ჩაშენებულია ძირითად ვებ-გვერდში, სადაც ინფორმაცია მუდმივად განახლებადია. აღნიშნული ვებგვერდების საშუალებით ხორციელდება სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება. აქედან გამომარე დაწესებულების წარმოამდგენლის

თქმით, უსდ არ იზიარებდა დასკვნაში დაფიქსირებული №3.1 რეკომენდაციას. მე-4 სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში წარმოდგენილ დარგობრივ დისციპლინებს (მასობრივი კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა) უძღვება 18 განმახორციელებელი პერსონალი, მათ შორის 12 სამეცნიერო ხარისხითა და პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით არის დარგის სპეციალისტი. მისი თქმით, ამ ნაწილშ არ არის არანაირი პრობლემა, აქედან გამომდინარე უსდ არ ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას. 5.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წრამომადგენელმა განმარტა, რომ უსდ ატარებდა ცალკე სამუშაო შეხვედრებს კულტურული დამკვიდრების კუთხით, (თანამონაწილეობის პრინიციპის ნაწილში, სარგებლიანობის და საჭიროების პრინიციპის ნაწილში, კომუნიკაციის და დიალოგის აუცილებლობის ნაწილში, სიცხადისა და გამჭვირვალობის ნაწილში.) უნივერსიტეტი ამზადებს და ნერგავს ტრენინგებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ეს არის მიმართულება, რომელიც საკმარისი არ არის არასდროს, აქედან გამომდინარე აღნიშნულ რეკომენდააციას დაწესებულება მიიღებს რჩევის სახით. 5.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მთოდოლოგია და პროცედურები. დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ 5.1 კომპონენტში იყო გამოტანილი 2 რეკომენდაცია, ხოლო უშუალოდ დასკვნაში მხოლოდ 1 რეკომენდაცია. „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა იხელმძღვანელოს კურიკულუმების შედგენის იმ რეგულაციებით, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული;“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროცედურები აქტიურად მიმდინარეობს, ასევე მიმდინარეობს ელექტრონული საქმის წარმოება. შესააბმის ეტაპებს გადის ფაკულტეტის საბჭო, შემდეგ აღნიშნული მიდის ხარისხის სამსახურში და რეკომენდაციებთან ერთად იგაზავნება უკან, შემდგომ ხარისხის სამსახური იძლევა თანხმობას და მიდის აკადემიურ საბჭოზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, განმარტა, რომ მასობრივი კომუნიკაცია, შედგებოდა ბევრი შემდაგენლისაგან, ის მოიცავდა ბეჭდურ მედიას, რადიოს, ტელევიზიას, ინტერნეტს, წიგნს, ფოტოგრაფიას. მისი თქმით, ყველა ამ სფეროს თანაბრად წარმოდგენა იყო შეუძლებელი. მისი თქმით, აქცენტი უნდა გაკეთდეს რომელიღაც ერთ შემადგენელზე. უსდ-მ ასეთი აქცენტი გააკეთა ჟურნალისტიკაზე, რადგან მასობრივი კომუნიკაციის, რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, თავის საქმიანობას ვერ განახორციელებს თუკი ეს მედიის გზით არ მოხდა. ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, ამიტომ გააკეთა ჟუნალისტიკაზე აქცენტი უსდ-მ. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, თუ რატომ დატოვეს მასობრივი კომუნიკაცია. მისი თქმით, როდესაც პროგრამის განმახორციელებლებმა, პროგრამაზე მუშაობა დაიწყეს, მათ გაიარეს 3 დღიანი ტრენინგები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც უძღვებოდა ირმა გრძელიძე, რომელმაც განმარტა, რომ იდეალურად წარმოუდგენია, როდესაც სამივე საფეხურის პროგრამა ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს. უსდ-მ გაიზიარა აღნიშნული შეხედულება. მისი თქმით, პროგრამაში წარმოდგენილია მთელი რიგი საგნები, რომლებიც არ არის წმინდა ჟურნალისტური საგნები. კეთდება აქცენტი ჟუნალისტიკაზე, თუმცა არ არსებობს საბაკლავრო პროგრამა, რომელიც ანიჭებს მასობრივი კომუნიკაციის ხარისხს და იქ არ არის მეტი ხვედრითი წილი რომელიმე ერთ სფეროზე მოსული. პროგრამის დასაქხელება, აპლიკანტებს ინფორმირებას უწევს თუ რომელი ვიწრო სპეციალობით მიიღებენ ცოდნაას, აღნიშნულ პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა ,,PR-ის საფუძვლები“-ის სასწავლო კურსთან მიმართებაში და განმარტა, რომ ის მიზნად ისახავს: ,,სტუდენტს შეუქმნას აუცილებელი საგანმანათლებლო ბაზისი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, განუმარტოს სფეროს შესაძლებლობები, მიზნები ამოცანები და პერსპექტივები. გააცნოს PR-ის განვითარების ისტორია, სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, გააცნოს სხვადასხვა სფეროში

საჭირო, ეფექტური კომუნიკაციის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებანი“. ეს მიზნები რეკომენდაციის მიხედვით წინააღმდეგობაშია ჟურნალისტურ მიზნებთან, შექმნას მათ შორის PR სამსახურებისგან დამოუკიდებელი შინაარსი. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას საერთაშორისო და საქართველოს ეთიკური, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, შეფასებას და კომენტირებას. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისათვის მედიაპროდუქტის დაგეგმვის, მომზადების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადება ისე, რომ მან არ იცოდეს საზოგადოებრივ ურთიერთობების სფეროს შესაძლებლობები, მიზნები, ამოცანები, PR-ის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები და რაც მთავარია, მიზნები, შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან სწორედ ამ მიზნების ცოდნისა და გაცნობიერების საფუძველზეა შესაძლებელი PR სამსახურებისგან დამოუკიდებელი შინაარსის მქონე მედიაპროდუქტის შექმნა.

1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წრამომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ საბაკლავრო პროგრამაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია. ასევე, 2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს დარგობრივ არჩევით დისციპლინებს. 2.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუკი ექსპერტთა პოზიციაა, რომ პროგრამა ორიენტირდეს ჟუნალისტიკაზე, მაშინ აღნიშნული რეკომენდაცია, რომ „სასწავლო კურსებში გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა“, უსდ-სთვის არის გაუგებარი. 2.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პრაქტიკული ხელშეკრულებების ძველი ფორმა არ ითვალისწინებდა რეკომენდაციაში დაფიქსირებულ ინფორმაციას, თუმცა ბოლო 2 წლის განმავლობაში გაფორმებული დოკუმენტი უკვე დეტალიზებულია ამ კუთხით. თუმცა მათ პრაქტიკაში ამ მიმართულებას, პრობლემა არ შექმნიათ და ასევე უნივერსიტეტს აქვს რამდენიმე პრაქტიკის ობიექტთან კონტრაქტი გაფორმებული. დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციით, უნივერსიტეტეს უნდა შეუნარჩუნდეს ავტონომიურობა და აკადემიურ პერსონალს აკადემიური თავისუფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განმარტა, რომ გაეცნო სამივე საფეხურის პროგრამას. ის ეთანხმება აკადემიური თავისუფლების პრინციპს, თუმცა თავისუფლება არ შეიძლება არ შემოისაზღვროს გარკვეულწილად, რადგან ის ვერ იქნება ფილოსოფიური ცნება, რადან სწავლების პროცესში კანონმდებლობასთან ბმაში უნდა იყოს. საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ პროგრამა ანიჭებდა მასობრივი კომუნიკაციის ხარისხს და ასწავლიდა ჟურნალისტიკასაც. საბჭოს წევრის თქმით, მასობრივი კომუნიკაცია ბევრად უფრო ფართოა და აქვს მრავალ შენაკადიანი ხასიათი. საბჭოს წევრის თქმით, მთლიან კურიკულუმის რუკაში არის მხოლოდ ერთი საგანი (შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში), რომელიც სრულად პასუხობდა მასობრივი კომუნიკაციის თემატიკას, რაც არ არის საკმარისი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არ ისწავლებოდა მასკომუნიკაციის სიტემები, რომელებიც სავალდებულოა მასობრივი კომუნიკაციის სპეციალობისთვის. სხვა წარმოდგენილი საგნები არის ჟურნალისტიკის ინსტრუმენტები და არა მასობრივი კომუნიკაციის. საბჭოს წევრის მოსაზრებით, გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა, შეცვლილიყო კვალიფიკაცია რეპორტიორის კვალიფიკაციით. საბჭოს წევრის თქმით, ბაზრის კვლევაში აქცენტი გაკეთებულია რეგიონზე. საბჭოს წევრი დიანტერესდა, როტომ იყო ასე ვიწროდ წარმოდგენილი და შეძლებდა თუ არა პროგრამა, მხოლოდ ამ ობიექტების გამოკითხვით რელევანტურ შედეგზე გასვლას. საბჭოს წევრი ასევე

დაინტერესდა ბენჩმარკინგის დოკუმენტთან დაკავშირებით, სადაც საბჭოს წევრის განმარტებით ნამდვილად იყო შესწავლილი ქართული ბაზარი, თუმცა აღნიშნულ სპეციალობაში, როდესაც ყველა ნაბიჯს კარნახობენ უცხოელი პარტნიორები, რადგან იქ ვითარდება აღნუშნული სპეციალობა, რატომ არ ქონდა უსდ-ს შესწავლილი უცხოური ბაზარი. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებთან დაკავშირებით, მისი თქმით სამეცნიერო აქტოვობების ბოლო წელი იყო 2016, ასევე მწირედ არის წარმოდგენლი სტატიები და კვლევები. საბჭოს წევრის თქმით, სბაკლავრო ნაშრომებში არ არის ერთი მეთოდი დაცული. ასევე, მასობრივი კომუნიკაციების თეორიები არ არის პროგრამაში. როგორ იქნება შესაძლებელი საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება, ან სტუდნეტმა ისწავლოს დარგი სიღრმისეულად.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ 1.2 ქვესტანდარტში „რეკომენდებულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, მაუწყებლობის ყველა პლატფორმაზე (პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ინტერნეტში) მუშაობის გაძლიერება/გავრცობა“, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, კონკრეტულად პროგრამის სწავლის შედეგებთან რატომ მოხდა აღნიშნული საკითის დაკავშირება. საბჭოს თავმჯდომარე, ასევე დაინტერესდა, 3.1 ქვესტანდარტში, ინფორმირების ეფექტურ მექანიზმთან დაკავშირებით, რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაცია. ასევე, 4.1 ქვესტანდარტში, რეკომენდაციაში დარგის სპეციალისტებთან დაკავშირებით არის ჩანაწერი, რომ „ძირითადად არ არიან დარგის სპეციალისტები, არც განათლებით და არც სამუშაო გამოცდილებით“ საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენი აკადემიური პერსონალი იყო პროგრამაზე და ამ აკადემიური პერსონალიდან რამდენი იყო პრაქტიკოსი და რამდენი აკადემიური მიმართულებით.

საბჭოს წევრი, თეონა მატარიძე დაინტერესდა კვლევით კომპონენტთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის სასწავლო კურსი არ იყო წარმოდგენილი სასწავლო კურსის სახით. მისი თქმით, გაეცნო საბაკლავრო ნაშრომებს, სადაც მეტნაკლები ხარისიხით იყო შესრულებული, თუმცა ასევე იყო საბაკლავრო ნაშრომები სადაც არ იყო დაცული ფორმა და შესრულებული სტილი. ასევე იყო ნაშრომები, რომელიც სტილისტურად შედარებით კარგად იყო შესრულებული თუმცა მითითებული წყაროები იყო არასაკმარისი. საბჭოს წევრმა სთხოვა უსდ-ს განემარტა, საბაკლავრო ნაშრომების მიზანი და რითი იყო უზრუნველყოფილი საბაკლავრო ნაშრომების გარკვეული აკადემიური ფორმით წარმოდგენა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კუპრაშვილმა განმარტა, რომ ჟურნალისტიკის სწავლებაში მთავარია ის, რომ ჟურნალისტიკა გამოიყოს მასკომუნიკაციის სამყაროდან და გავლენებისგან. სწორედ ამიტომ არის წარმოდგენილი კვალიფიკაციათა ჩარჩოში ცალ-ცალკე. ექსპერტის თქმით კონკრეტული ფოკუსისრება არის საჭირო PR-ის სწავლების მიზნების დასაკავშრებლად ჟურნალისტიკისათვის. მედიიგან დამოუკიდებლად ძალიან ბვერი პროცესი მიდის მასკომუნიკაციებში და ბევრ რამეს სჭირდება სწავლება. კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ 4 პროფესორი იყო ჟურნალისტიკის მიმართულებით, საიდანაც 2 არის მოწვეული. გამოდის, რომ სუყლ 2 პროფესორი ჰყავთ ძირითადში უსდ-ში. კვლევები არის ძალიან ძველი, არ ფარავს მასობრივ კომუნიკაციას. თუკი ინსტიტუცია დარჩება იმ პოზიციაზე, რომ მან უნდა გასცეს მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაცია მას დაჭირდება აკადემირუი პერსონალით გაძლიერება. ხოლო თუკი გადაწყვეტს ჟურნალისტიკის მიმართყლებით წასვლას, მას დასჭირდება პროფესიონალი ჟურნალისტებით გაძლიერება, პრაქტიკული საგნების დამატება. ექსპერტის თქმით, გაუგებარი იყო თუ რომელი მიმართულებით სურდა ინსტიტუციას კვალიფიკაციის მინიჭება, აქედან გამომდინარე ორივე მიმართულებით გაიწერა რეკომენდაციები. ექსპერტის თქმით, შედარებით მარტივია კვალიფიკაციის მინიჭება ჟურნალისტიკის ნაწილში, რადგან კურიკულუმში ჟურნალისტიკის საგნები ნამდვილად არის და შედეგების მიღწევა შესაძლებელია, ამიტომ არის სწორედ ექსპერტების რეკომენდაცია, რომ კვალიფიკაცია გადახედოს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა 3.1 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაცია განპირობებულია ინტერვიუს შედეგებით, რომელიც ექსპერტის შეფასებით არც თუ ისე სახარბიელოა. იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი სტუდენტი ამასთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული მიუხედავად არსებული რესურსებისა, ექსპერტებმა ჩათვალეს მიზანშეწონილად რომ რეკომენდაციაში გაწერილიყო. ვინაიდან, არსებითად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ კადრს სთავაზობს ინსტიტუცია კონკრეტულად ბაზარს და არა ის, თუ რა წინაპირობებს აკმაყოფილებს ფორმალურად.
პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს 18 განმახორციელებელი პერსონალი, რომლებიც უძღვებიან დარგობრივ დისციპლინებ, მათგან 12 სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით დარგის სპეციალისტია, აქედან მოწვეული არის მხოლოდ ერთი, ხოლო სხვა დანარჩენი ყველა არის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი. დაწესებულების წარმომადგენელმა ჩამოთვალა აკადემიური პერსონალი პრაქტიკუი მიმართულებით და ისაუბრა მათ მიღწევებზე.
დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, არის მთელი რიგი სტატიები, რომელიც შეეხება მასობრივი კომუნიკაციის საკითხებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მასობრივი კომუნიკაციიც შესავალში ისწავლება მთელი რიგი თეორიები. თეორიული წანამძღვრები, რომლის საფუძველზეც არის შესაძლებელი კვლევის ჩატარება, საბაკალავრო ნაშრომის დონეზე აღნიშნული საგნით იფარება. ასევე არის საგანი, მასკომუნიკაციის სოციოლოგია, მედია და პოლიტტექნოლოგიები, სადაც წარმოდეგნილია მასკომუნიკაციის საგენები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იყო მთელი რიგი სასწავლო კურსბეი, რომლების დასახელებაშიც არ არის მასომუნიკაციაზე სიტყვიერი მითითება, თუმცა შინაარსობრივად იფარება მასკომუნიკაციის საკითხები. რაც შეეხება ახალ მედიაში მუშაობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის საჭირო სასწავლო კურსებს, ისინი წარმოდგენილია შემდეგი დისციპლინებით: გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1, გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2, ახალი მედია (ინტერნეტ ჟურნალისტიკა), პროგრამები: Paint, Corel Painter, Adobe Photoshop, Corel Draw, Adobe Illustrator, CorelXara, Xara Xtreme, აუდიო ფაილების ტიპები და გამოყენების სფერო, აუდიო ფაილის ჩაწერის ძირითადი პრინციპები, რედაქტირების საშუალებები, ანიმაცია - შეისწავლება სასწავლო კურსში „მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიები.“
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა, ტოფლერის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით, ეს ისწავლებოდა, როგორც ფუტუროლოგს თუ მასკომუნიკაციასთან მიმართებაში.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის პრობლემაა სწორედ ის, რომ არის ძალიან ფარგმენტული. რეკლამა არის მასობრივი კომუნიკაციის ნაწილი, მაგრამ მისი წილი არის ერთი საგანი. მასკომუნიკაციის შესავალში ისწავლება რადმენიმე თეორია თუმცა შესავალი და თეორიები ერთ სასწავლო კურსი იყოს მოცული ეს არის პრობლემა. ხვედრითი წილი, იმ დარგში რის კვალიფიკაციასაც ანიჭებს პროგრამა უნდა იყოს უფრო მეტი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მასობრივი კომუნიკაციის სოციოლოგია წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე. საბჭოს წევრი დიანტერესდა, ეს სასწავლო კურსი ისწავლებოდა თუ არა სავალდებულოდ. საკითები, რომლებსაც ფარავს აღნიშნული სასწავლო კურსი, სოციალოგიაში მოითხოვს ელემაენტრაულ ცოდნას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ტოფლერთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოიყენებენ არა, როგორც ფუტუროლოგს, არამედ როგორც მასკომუნიკაციის სპეციალისტს. მისი თქმით, დეტალურად თუ რაზე იყო საუბარი ვერ განმარტავდა, რადაგნ ეს იყო თავად სპეციალისტის კომპეტენცია. მასობრივი კომუნიკაციის სოციოლოგიის სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ამ კურსს არ აქვს დაშვების წინაპირობა, რადგან სავალდებულო საგნებში ცალკე სოციოლოგია არ არის წარმოდგენილი. თუმცა სტუდენტს შეუძლია თავისუფალი კომპონენტის სახით აირჩიოს. მასობრივი კომუნიკაცის სოციოლოგიაში ისწავლება, სოციოლოგია, სოციალური კვლევის

მეთოდები და შემდგომ გადადის მასკომუნიკაციისათვის სფეციფიური სოციალური კვლევების სწავლებაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა შეკითხვა და აღნიშნა, რომ შესაბამისი ცოდნის არ მქონე სტუდენტს, უწევს მოკლე სასწავლო კურსის ფაგლებში შეისწავლოს სხვადასხვა საკითხები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ბევრს სილაბუსში იყო საუბარი. მაგალითად: ახალი ამბების ჟურნალისტიკა, ანალიტიკური ჟურნალისტიკა. რადგან, მედიაში რაიმეს გაკეთება, ისე, რომ მიზნად არ ისახავდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შეუძლებელია, ამიტომ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საზოგადოებრივი აზრის ფირმირება სტუდენტი სწავლობს მთელ რიგ კურსებში. საბკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს არის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტი, რომელსაც მნიშვნელოვნად გაეზარდა კრედიტი წინა პროგრამასთან შედარებით, რათა სტუდენტმა გამოიმუშაოს ანალიზის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტმა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა უნდა შეათავსოს და შემდგომ შეიმუშაოს მედიის პროდუქტები. საუბარი იყო საბაკალავრო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის სიმცირეზე, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შესაძლოა ყოფილიყო მსგასი ხარვეზი ნაშრომებში, თუმცა იმ ეტაპისათვის მნიშვნელოვანი იყო სტუდენტი რამდენად ახერხებდა მედია პროდუქციის, მასობრივი კომუნიკაციის პროდუქციის შეფასებას, რომელსაც ისინი სწავლობდნენ. თეორიის გამოყენებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხვედრითი წილი შეიძლება გადმოვიდეს თეორიული ნააზრევის გადმოცემაზე, რაც პროგრამის ხელმძღვანელის აზრით კვლევის უნარს ნაკლებად უვითრებს სტუდენტს.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ აღნიშნა, რომ რეფერირების წესის დაცვა მნიშვნელოვანია საბაკლავრო ნაშრომის შესრულებისას. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ფასდებოდა მედია პროდუქტი და რომელი კურსი ავითარებდა ამ უნარს.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინსტიტუცია უარს ამბობდა რეფერირებაზე, აქცენტი კეთდება კვლევაზე თუმცა მეთოდოლოგია არ ისწავლება კვლევისას. ასევე საბაკლავრო ნაშრომების გარკვეული ტექსტური ნაწილი შეიძლება იყოს ინფორმაციული და მასშიც მუშავდებოდეს გარკვეული ტექნიკები და უნარები. ექსპერტის თქმით, რეალურია პირველ საფეხურზე, თუნცად რეფერირების ტექნიკა ისწავლებოდეს და ასევე თუ როგორ დგება კრიტიკული ანალიზი გარკვეული სამეცნიერო ტექსტების მიმართ, თუკი პროგრამა ვერ სთავაზობს კვლევის მეთოდოლოგიას.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსებში, „ახალი ამბების ანალიზი“, „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“, „ანალიტიკუი ჟურნალისტიკა“ დავალება მიცემულია ორი სახით. პირველი, როდესაც ისწავლება ახალი ამბების გაკეთება, ფასდება, მიმდინარე მედიაში გამოქვეყნებული მასალები ჟურნალისტური ოსტატობის კუთხით, თუ რამდენად შესააბამება სხვისი გაკეთებული პროდუქტი იმ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კარგი პროდუქტი. მეორე დავალებაა, სტუდენტმა მოამზადოს საკუთარი პროდუქტი. სტუდენტები სწავლობენ შეფასებას ყველა საგანში, სადაც არის ჟურნალისტიკა. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, გაძლიერდა კურსი, რომელსაც ჰქვია წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, რომელიც დაიყო 3 ბლოკად. პირველი - მეტყველების უნარების განვითარება, მეორე - კვლევა, კვლევის შედეგების წერის მიზნები, საბაბი, კვლევა, როგორც ინფორმაციის ძიების შეფასება, საკვლევი თემის შერჩევა, დავიწროება, პროგრამის განსაზღვრა და ა.შ. ხოლო მესამე- საქმიანი დოკუმენტების შედგენა. პროგრამის შემუშავების დროს, პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ის დაეყრდნო სამ უმაღლესის პროგრამას (კარლოსის სახელობის მადრიდის უნივერსიტეტი, პრაღის უნივერსიტეტი და რიგის უნივერსიტეტი), პირდაპირ არის გაწერილი ანალიზის დოკუმენტში რა საგნები ისწავლება უმაღლესებში და რომელ საგნებს შეესაბამება. მე-8 დანართში არის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შრომის

ბაზართან დაკავშირებით დოკუმენტი წარმოდგენილია მე-8 დანართში. წარმოდგენილი კვლევის ობიექტები შერჩეული იყო იმის მიხედვით, თუ სად იყვნენ დასაქმებულები კურსდამთავრებულები. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით კურსდამთავრებულები ასევე სხვაგანაც იყვნენ დასაქმებულები, თუმცა ბოლო პერიოდში კურსდამთავრებულთა უმეტესობამ მუშაობა დაიწყო ბაზრის კვლევაში გამოკითხულ სექტორებში.
დაწესებულების წარმომადგნლის, დავით მახვილაძის თქმით, თუკი საუბარია ან მასკომუნიკაციის ან ჟურნალისტიკის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე, მაშინ შეცდომაა საკვალიფიკაციო ჩარჩოში, რადაგნ ინსტიტუცია ეყრდნობა იმ მოცემულობას, რაც არის 0321 ქვეშ და ჟურნალისტიკას განიხილავს მასკომუნიკაციის სფეროს ნაწილად. თუ საუბარია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე და იძლევა კანონი ამის შესაძლებლობას, რომ არჩეულ იქნას უფრო ფართო მიმართულება მასკომუნიკაცია, მაშინ გათვალისწინბეულია ასევე მსხვილი ნაწილი ჟურნალისტიკის და წარმოდეგნილია პროგრამა ამ ფორმით. უსდ-მ აირჩია ეს გზა. თუ რაიმე თემატიკა არის გასაძლიერებელი მასკომუნიკაციის მიმართულებით ამას განიხილავს ინსტიტუცია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უსდ ასევე გაითვალისწინებს იმ რეკომენდაციებს, რომელიც შეეხება მასკომუნიკაციის საგნების გაძლიერებას და არა ჟურნალისტიკის კვალიფიკაციის შეცვლას.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ განმარტა, რომ მისი მოსაზრებით კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში არ იყო არანაირი არასწორი ჩანაწერი. მასობრივი კომუნიკაციის ბაკლავრი, სფეროების კლასიფიკატორი შესაბამისად 0321 დელატულ სფეროში წარმოდგენილი, რომელიც განზოგადებულია ჟურნალისტიკის და რეპორტიორობის ვიწრო სფეროში. ინსტიტუციის გადასაწყვეტია, ჟურნალისტიკის ბაკლავრს მიანიჭებს თუ მასკომუნიკაციის. თუმცა რეკომენდაციები გათვლილი იყო იმაზე, რომ პროგრამა უფრო მეტად არის დაკავშირებული ჟურნალისტიკასთან ვიდრე მასობრივ კომუნიკაციასთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალსტიკის სამაგისტრო პროგრამა).

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გაძლიერდეს მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების, მასკომუნიკაციის თეორიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტის და კვლევის სწავლება, (არჩევითი სტატუსით).
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება;
3. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო

ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"- ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

4. რეკომენდებულია ბიუჯეტში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა.
5. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.
6. მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფის წევმა, ნათია კუპრაშვილმა განმარტა, რომ საბაკლავრო პრგრამაში დაფიქსირებული რამოდენიმე რეკომენდაცია სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში გადავიდა რჩევებში. სამაგისტრო საფეხურზე, კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით საკმარისია აკადემიური პერსონალის რაოდენობა. ასევე, წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბადე, არის წარმოდგენილი ის საგნები, რომლებიც გადის მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განამრტა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ მაგისტრატურის საფეხურზე აკადემირუი პერსონალის კვალიფიკაცია არის საკმარისი, მაშინ ბაკლავრის საფეხურზე რატომ არის ეს პრობლემა, რადგან დარგში, ცოდნის გადაცემის სიღრმე მაგისტრატურის საფეხურზე მნშვნელოვნად ძლიერდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ აქვთ პროფესორების მოწვევის მოქნილი მექანიზმი თუ კი მოწვევის საჭიროება იარსებებს. თუმცა ეს საჭიროება არ დამდგარა. ინტერვიუებზე დაყრდნობით წარმოშობილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ „დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება.“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტები 5-7 სტუდენტთან ახერხებენ კომუნიკაციას და რთულია ამაზე დაყრდნობით იყოს მსჯელობა იმაზე, ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი არის თუ არა ეფექტური. მისი თქმით 21 000 სტუდენტია უსდ - ში და მუშაობს ერთიანი სისტემა. მე - 3 - ე სტანდარტში ექსპერტების მიერ დასმულ პრობლემის არსებობას დაწესებულება არ იზიარებს. მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს თავისი გემოვნება. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყოველკვირეულად, გამონაკლისის გარეშე, თანამშრომლობენ აკადემიურ დეპარტამენტებთან,

პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც საუბარია კულტურის დამკვიდრებაზე, ეს არის მიუღწეველი. თუკი საუბარია სტანდარტული პროცედურების წარმართვაზე, ამ შემთხვევაში, უსდ-ში ბოლო 1 წლის განმავლობაში ბევრი მიმართულებით შედის ცვლილებები და შეეხება პერსონალს, მიზანმიმართულად და ამომწურავად მიეწოდება სწორი ინფორმაცია ვორქშოფების სახით. ინსტიტუცია არ ითვალისწინებს მე-5 კომპონენტში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჩაუთვლია, რომ არ იყო პრობლემური აკადემიური კადრების მხარე, თუმცა იმ არგუმენტით რომ კრედიტების რაოდენობა მცირეა და პროგრამა გადის შედეგებზე, აღნიშნული საკითხი გადავიდა რჩევებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა განმარტა, რომ ექსპერტების ვალდებულებაა, რეგლამენტის თანახმად ადგილზე ვიზიტის ფარგელბში მიღებული ინფორმაცია ერთ-ერთ ინდიკატორად და მტკიცებულებად გამოიყენოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამაში ორ საგანს აქვს არჩევითი სტატუსი: „სამაგისტრო პრაქტიკა“ და „ აკადემიური წერა“ საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ინსტიტუციას, ხომ არ იქნებოდა რაიმე საფრთხე ერთის მხირვ პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით და სამაგისტრო ნაშრომის ხარისხიანად შესრულებისთვის. ასევე, მემორანდუმებთან მიმართებაში, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დააკლდა სტანდარტით მოთხოვნილი პირობა სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა რუბრიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აქაც ფიქსირდება გარკვეული ხარვეზები. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებითაც, მისი თქმით გამოგზავნილია 3 სამაგისტრო ნაშრომი, რომელთა გაფორმების სტილი და სიღრმე პრობლემურია.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ განამრტა, რომ ერთ-ერთი სამაგისტრო საფეხურის სათაურია „მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური ნააზრევი“, საბჭოს წევრი დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომის კავშირზე მასობრივი კომუნიკაციასთან. ასევე მისი თქმით, ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში არის 34 წყარო მოყვანილი. ის დაინტერესდა, სამგისტრო ნაშრომების შემთვხვევაში 3-4 წყაროთი როგორ არის შესაძლებელი კვლევა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მისი თქმით, ერთერთი რჩევასთან დაკავშირებით „სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები და იმუშაონ“, ის დაინტერესდა ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლეოდა თუ არა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევა. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ პრაქტიკულ ნაწილს პანდემიის პროცესში როგორ ახორციელებდა ინსტიტუცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კუპრაშვილმა ბაზასა და მის ტექნიკურ გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პრობლემა ეხებოდა არამხოლოდ სამაგისტრო პროგრამას, არამედ სხვა საფეხურებსაც. ექსპერტები ვიზიტზე ვერ დარწმუნდნენ, რომ პანდემიის დროს აქტიურად გამოიყენებოდა ბაზები და რომ სტუდენტებს ჰქონდათ ბაზების გამოყენების შესაძლებლობა. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციის რჩევაში გადატანის მიზეზი არ იყო მხოლოდ ნაკლები კრედიტების რაოდენობა, არამედ მიზეზი ის იყო, რომ პროგრამა უფრო ფოკუსირებულია კონკრეტულ მიზანზე და კვალიფიკაციაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს დადასტურდა რომ პანდემიის პირობებში ვერ ხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება,

თუმცა დაწესებულება გეგმავს პერიოდულად ჰიბრიდულად განახორციელონ პრაქტიკული კომპონენტი. ვიზიტის პროცესში აღნიშნული ჰიბრიდული წესი არ იყო აქტიური.
ექსპერტმა, ნათია სვანიძემ განმარტა, რომ ბაზებზე იყო საკამრისი რესურსი იმასათვის, რომ სტუდნეტებმა დისტანციის დაცვით პერიოდული მისვლით განახორციელონ პრაქტიკული მეცადინეობები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ აკადემიური წერა და სამაგისტრო პრაქტიკა მოცემულია არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან სტუდენტების ძირითად ნაწილს აკადემიური წერა გავლილი აქვთ საბაკალვრო საფეხურზე, შესაბამისად სტუდენტებს, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეთ გავლილი აკადემიური წერა, მათთვის არჩევითი კურსის სახით არის შეთავაზებული. რაც შეეხება სამაგისტრო პრაქტიკას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაზე მოსული სტუდენტების უმრავლესობა არის სპეციალობით დასაქმებული და შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსიც გადავიდა არჩევით კურსში. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგებზე გასვლასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგეელმა განმარტა, რომ აქ პრობლემა არ იქმნება, რადგან პროგრამაში არის პრაქტიკული სასწავლო კურსები.
პროგრამის ხელმძღვანელმა პრაქტიკულ სასწავლო კურსებთან მიმართებაში განმარტა, რომ აქცენტი პრაქტიკულ საგნებზე იმიტომ არის გაკეთებული, რომ დასაქმების ბაზარი ამას მოითხოვდა. პირველივე სემესტრში არის სასწავლო კურსი ფოტო, ვიდეო მონტაჟი, ფოტო ვიდეო გრაფირება და სხვა. ბაზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძრანელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი იყო მნიშნელოვანი. პანდემიის პირობებში შესაძლებელია მისი გამოყენება, თუმცა მიმდინარეობს ტექნიკის და ინვენტარის ტენდერის წესით განახლება, რის შემდგომაც უფრო გამარტივდება ბაზაზე მუშაობა.
სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის საკითები რაზეც ზემოქმედება შეუძლებელია, როგორიც არის მაგალითად უკვე დაცული ნაშრომები. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოსწორდეს ხარვეზები.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა (მასკომუნიკაცია/ჟირნალისტიკის სადოქტორო პროგრამა) ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში წარმოდგენილი მაღალკალიფიციური მკვლევრის მომზდება უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის არამხოლოდ კვლევით, არამედ სასწავლო კომპონენტში, რაც ამ ეტაპზე სუსტადაა გამოხატული.
2. მიზნობრივად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან.
3. გადაიხედოს დაშვების წინაპირობება, შესაბამისად, დაორექტირდეს სასწავლო პროგრამის სტრუქტურა.
4. სასწავლო კომპონენტს დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსები: მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები; მასკომუნიკაციის თეორიები იმ სტუდენტებისთვის, რომლეთაც არ აქვთ დამთავრებული მასობრივი კომუნიკაცი/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა, ან პროგრამამ მისცეს საშუალება დოქტორანტს, დაშვების ფარგლებში , წინამდებარე კურსების კომპეტენცია შეივსონ კურიკულუმს მიღმა აქტივობის საფუძველზე წინა საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე.
5. გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება;

6. სოციალური კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა;
7. გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით;
8. დაემატოს მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების არჩევითი კურსი.
9. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხოციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
10. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
11. საჭიროა პროგრამამ მოიზიდოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს.
12. ბიუჯეტს უნდა დაემატოს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერის სქემა.
13. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.
14. მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი უნიკალური, ტრადიციული დარგებითა და ყველა უმაღლეს სასწავლებლისაგან განსხვავებული სპეციფიკით, რაც მას გამოარჩევს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკის დარგში ექსპერტებით მომარაგებაში, რათა თავდაპირველად შეინარჩუნოს და შემდგომ გააძლიეროს საკუთარი პოზიცია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელამ, დავით მახვილაძემ სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირები განმარტა, რომ წარმოდგენილი ნაშრომები არის პრობლემური და შესაბამისად აქვთ დაბალი შეფასებები. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სასწავლო კომპონენტით გაძლიერების მიმართულებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უსდ-ში გარდა რამდენიმე სპეციფიკური პროგრამისა, იგეგმება სასწავლო კომპონენტის მინიმუმამდე დაყვანა სადოქტორო პროგრამებში. სრული აქცენტი გაკეთდება კვლევით ნაწილზე. ამიტომ, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაში მაქსიმალურად

გაძლიერებულია კვლევითი კომპონენტის ხვედრითი წილი. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამას აქვს კონკრეტული დაშვების წინაპირობა, რომლის თანახმად, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, ასევე მოეთხოვება, წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ დოქტორანტი პროგრამაზე ჩაირიცხოს მასობრივი კომუნიკაციის დარგის ცოდნით. ამდენად, აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ვერ გაიზიარებს. მესამე ქვესტანდარტტან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა მექანიზმები. პროგრამაზე დარგის შესაბამისი მკვლევარების მოწვევასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ხელმძღვანელების ჭრილში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას ჰყავდა შესაბამისი აკადემიური რესურსი, თუ საკვლევი თემა იქნება იმგვარი, რომ არსებული რესურსი ვერ უზურუნველყოფს, მაშინ გამოიყენება სამეცნიერო ხელმძღვანელის მოწვევის მექანიზმი. სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წრამომადგენელმა განმარტა, რომ უსდ-ს პოზიცია იგივე იყო, რაც საბაკლავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კუპრაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტები გაეცნენ არამხოლოდ დაბალი შეფასების სამაგისტრო ნაშრომებს, არამედ მაღალი შეფასების ნაშრომებსაც, სადაც ასევე იყო სერიოზული პრობლემები, რაც ექსპერტის მოსაზრებით განპირობებული იყო არამხოლოდ აკადემიური პერსონალის ნაკლებობით, არამედ სწრაფი კვლვებით. მაგალითად, შეუძლებელია პანდემიის პირობებში წელიწად ნახევარში 20-ზე მეტი კვლევა დაასრულდეს და 20-ზე მეტი ნაშრომი დასრულდეს. ექსპერტის თქმით აღნიშნული დროის სიმცირე ახდენს ყველაზე ძლიერ გავლენას ხარისხზე. მისი თქმით, არც საბაკლავრო და სამაგიტრო საფეხურზე არ არის შეთავაზებული მოდულები, რომ თუნდაც თავისუფალი კომპონენტის სახით იყოს შეთავაზებული. ექსპერტის თქმით, თუკი არ მოხდება კვლევის შესწავლა შეუძლებელია რაიმე ტიპის შედეგებზე გავიდეს პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა, სადოქტორო ნაშრომებს რატომ ეწერათ შიფრი 0703, ხომ არ იყო ეს ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძველი პროგრამა მოქმედებდა ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით და ახლა გადავიდა 69/ნ-ზე, შესაბამისად 0703-ით იყო გათვალისწინებული 120/ნ ბრძანებიდან გამომდინარე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არის პრაქტიკა, რომ სტუდენტები იჩერებენ სტატუსს, ვინაიდან ვერ ასრულებენ ნაშრომს, ხოლო შემდგომ იღდგენენ სტატუსს, რამაც შესაძლებელია განაპირობა 9 დოქტორანტის მიერ კვლევის ჩატარება 1 წელიწადში.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, რამ განაპირობა რეკომენდაცია, რადგან დაკმაყოფილებულია გარკვეული კრიტერიუმები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განამრტა, რომ სადოქტორო საფეხურზე განსაკუთრებით მნშვნელოვანი იყო ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რადგან ტენდენციებს გვკარნახობს დასავლეთი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორი იყო ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამის მიდგომა და რა ნაბიჯები იდგმეოდა ამ მიმართულებით. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ის დაწესებულების მხრიდან მოისმენდა პოზიციას პროგრამაში დარგის მიმართულებით მკვლევარების მოწვევასთან და მეორე, სადოქტორო ნაშრომებში მეთოდოლოგიის დეფიციტთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკაში მითითებულია კამერონის სახელმძღვაენლო - „საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია“, რომელიც უნდა ჩასწორდეს, რადგან საბაკლავრო პროგრამაშიც მითითებული იყო აღნიშნული სახელმძღვანელო. საბჭოს წევრის თქმით, სადოქტორო და საბაკლავრო საფეხურზე ერთი და იგივე სახელმძღვანელოს მითითება არ არის რელევანტური.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ აღნიშნა, რომ 2020 2021 წლის დდაცული დისერტაციების რაოდენობა იყო მინიმუმ 20. საბჭოს წევრი დაინტერესდა, დაცული დისერტაციის სათაურები რამდენად შესაბამისობაში იყო დარგის შინაარსთან და მისაიჭებელ კვალიფიკაციასთან. მისი თქმით ასევე სერიოზული პრობლემები ფიქსირდება ნაშრომების გაფორმების წესსა და წყაროების გამოყენებაში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია სვანიძემ განაცხადა, რომ ნაშრომების გაცნობის დროს თვალშესაცემი იყო ის ფაქტი,რომ რეცეზენტები იყვნენ მხოლოდ ქართველები. არცერთ ნაშრომს არ ჰყოლია უცხოელი რეცეზენტი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია კუპრაშვილმა კვლევით მეთოდებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთის მხირვ საჭირო იყო სილაბუსის გადახედვა, მაგრამ მეორეს მხირვ მასკომუნიკაციის კვლევების დამატება, იმისათვის რომ პროგრამა შედეგზე გავიდეს. მისი თქმით დაშვების წინაპირობებში არ არის გასუბრება, გამოცდა და აგრეთვე არა არის პროგრამულად შეთავაზებული ის საკითხები, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგებზე გასასვლელად. ექსპერტის თქმით, სადქტორო ნაშრომებში არ არის მხოლოდ რეფერირების პრობლემა, არამედ პრობლემა შეეხება ასევე კვლევას. გაუგებარი იყო, თუ რა გზა განვლეს ავტორებმა კვლევის პროცესში და როგორ მიიღეს ის შედეგები.

პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შესაძლებელია გაუგებრობა გამოიწვია განმარტებებმა. მისი თქმით, გასულ წელს 3 უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად გამოიცა სახელმძრვანელო დანიშნულების წიგნი, „მედია კომუნიკაციები და ევროპული მშენებლობა საქართველოსთან ერთად“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროპელ პროფესორებთან, მათ შორის სადოქტორო პროგრამის მიმართულებითაც. პროგრამის ხელმძღვანელმა გამოყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი და კიდევ სხვები. დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ დაშვების წინაპირობები დააკონკრეტეს იმდენად, რამდენადაც მისი აუცილებლობა გამოიკვეთა მოდიფიკაციაზე მუშაობის პროცესში. მისი თქმით ჰუმანიტარულ სფეროს ვერ დატოვებდნენ მასობრივი კომუნიკაცია ჟურნალისტიკის პროგრამის მიღმა, რადგან აღნშნული სფეროდან ამოვიდა ჟურნალისტიკა. მისი თქმით, რადგან მედიის კვლევის მეთოდები ისწავლება მაგისტრატურის დონეზე, განმეორებად ჩაითვაალებოდა მისი დამატება სადოქტორო დონეზეც. პროგრამის ხელმძღავნელის განმარტებით, დოქტორანტი, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საჭიროების შემთხვევაში გაივლის აღნიშნულ კურსს დოქტორანტურის დონეზე. აღნიშნული ცოდნის შემოწმება ასევე შესაძლებელია წინაპირობაში ჩადებული ერთ-ერთი ელემენტით, რომელიც გულისხმობს კვლევითი პროექტის წარმოდეგნას, რომელსაც ეცნობა კომისია და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძრვანელმა განმარტა, რომ ყველა კვლევითი ნაშრომი ერთგვაროვანი ვერ იქნება. შესაბამისად შეფასების ქულები იყო შესაბამისი. მისი თქმით, უსაფუძვლოდ მაღალი ქულებით არცერთი ნაშრომი არ შეფასებულა.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განმარტა, რომ მისი კითხვა შეეხებოდა იმას თუ ინტერნაციონალიზაციის რა წვლილი იყო გათვალისწინებული პროგრამის შემუშავების პროცესში ან შემდგომ განხორციელებაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა განამრტა, რომ პროგრამის განვითარების ეტაპეპზე უცხოელი კოლეგების კონსულტაციების გავლენა გამოიხატა იმაში, რომ ამოღებულ იქნა სასწავლო კომპონენტები დუბლირების თავიდან ასაცილებლად და ასევე მათი რეკომენდაციები აისახება ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების პროცესში. პროგრამა დაუახლოვდა მიუნსტერის გერმანიის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სასწავლო კურსის „სოციალური კვლევის მეთოდები“ სილაბუსი ისე არის აგებული, რომ ფაქტობრივად დოქტორანტებს უხვეწავს, უმტკიცებს და უვითარებს კველვის პროცესს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:30

დასრულების დრო: 23:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

მეხუთე საკითხი (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოს მე - 2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მე - 3 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ .

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდება და მიზნები დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციიის შესაბამისად;
2. რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან;
3. რეკომენდირებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
4. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საფუძვლად დაედოს 1.1 ქვესტანდარტის რეკომენდაციები;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
6. პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებში გაძლიერდეს მასობრივი კომუნიკაციის თემატიკა;
7. რეკომენდირებულია პროგრამა შეივსოს და გაძლიერდეს სიღითადის სწავლის სფეროს არჩევითი კურსებით მასკომუნიკაციის მიმართულებით;
8. რეკომენდირებულია გადაიხედოს სავალდებულო სასწავლო კურსების წინაპირობები და რიგ სასწავლო კურსებში შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან;
9. მიზანმიმართულად შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები მათი აქტუალურობის მიხედვით და განისაზღვროს მათ მიერ პრაქტიკაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, პრაქტიკის ხანგრძლივობა და კონკრეტული მიზნები;
10. რეკომენდებულია საბაკალვრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომები შესრულდეს აკადემიური წესების დაცვით;
11. რეკომენდებულია გადაიხედოს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა/ები კვლევის მეთოდოლოგიის დაძლევადობის მიზნით;

12. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები დაზუსტდეს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად;
13. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;
14. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც უდასტურდება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სფეროს შესაბამისი კომპეტენცია შესრულებული კვლევებითა და/ან პრაქტიკული გამოცდილებით;
15. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
16. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;
17. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო დეტალურად იყოს გაწერილი პროგრამაში, მობილობის წესების გათვალისწინებით;
2. სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ტექნოლოგიების საკითხების სწავლება.;
3. სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის მოცულობის გაზდა;
4. სასურველია სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება;
5. სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
6. სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, არა მარტო მოკლევადიანი პროექტების განხორციელებისთვის - მასტერ-კლასებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობისთვისაც, რაც აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცესთან მის ადაპტირებას;
7. სასურველია ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს ნაშრომები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოაქვეყნონ;
8. სასურველია პროგრამის განმახორციელებლებმა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში. ასევე, უფრო აქტიურად ითანამშროლონ საერთაშორისო მედია ორგანიზაციებთან ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკულად გაზიარების მიზნით;
9. სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები და იმუშაონ;
10. სასურველია, ტელევიზიამ ფუნქციონირება განაახლოს ჰიბრიდულ რეჟიმში, რეგულაციების დაცვით;
11. სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება;

12. სასურველია ხარისხის სამსახურმა გააძლიეროს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა;
13. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები;
14. სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზედააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეექვსე საკითხი (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
2. გაძლიერდეს მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების, მასკომუნიკაციის თეორიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტის და კვლევის სწავლება, (არჩევითი სტატუსით);
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომები შესრულდეს აკადემიური წესების დაცვით;
4. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
5. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარის შესაბამისობა დარგთან, სწავლების საფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა;
7. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც უდასტურდება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სფეროს შესაბამისი კომპეტენცია შესრულებული კვლევებითა და/ან პრაქტიკული გამოცდილებით;
8. რეკომენდებულია ბიუჯეტში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა;
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
10. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
2. სასურველია, უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მოიძიოს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამა არის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი;
3. სასურველია ,,მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების მოდული“ პროგრამის მიერ შეთავასებულ იქნას ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არჩევით კურსად, რადგან ეს კურსი უმეტესად სწორედ არა მასკომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. შესაბამისად, უკეთ უნდა დაზუსტდეს ამ სილაბუსის სწავლების მიზნები და ამოცანები წარმოდგენილი პროგრამისთვის;
4. სასურველია გადაიხედოს ,,მასკომუნიკაციის ტრენდების“ სილაბუსი, იგი გარკვეულწილად იმეორებს ,,მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების“ ასევე სხვა შეთავაზებული კურსების შინაარსებს. ამასთან ნაკლებად პასუხობს კურსის სახელწოდებით შექმნილ მოლოდინებს;
5. სასურველია დაწესებულებამ გააუმჯობესოსსტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და

უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება;

6. სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს;
7. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მაგისტრატურის დებულების მე-3 მუხლში, სადაც გაკეთებულია მითითება "მაგისტრანტის ხელმძრვანელი/ხელმძღვანელების" შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს სამაგისტრო პროგრამის დებულების მესამე მუხლში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება;
8. სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებისთვის - მასტერ-კლასებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობისთვისაც, რაც აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცესთან მის ადაპტირებას;
9. სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები. და იმუშაონ. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად;
10. სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება;
11. სასურველია ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს წიგნადი ფონდის შევსება - გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ –ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი ხარჯები;
12. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;
13. სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური

ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე;

14. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეშვიე საკითხი (მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის სადოქტორო პროგრამა)
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მე - 3 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ , მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში წარმოდგენილი კვალიფიციური მკვლევრის მომზადება უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის არამხოლოდ კვლევით, არამედ სასწავლო კომპონენტში, რაც ამ ეტაპზე სუსტადაა გამოხატული;
2. მიზნობრივად გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან;
3. გადაიხედოს დაშვების წინაპირობება, შესაბამისად, დაკორექტირდეს სასწავლო პროგრამის სტრუქტურა;
4. სასწავლო კომპონენტს დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსები:მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები, ასევე, მასკომუნიკაციის თეორიები იმ სტუდენტებისთვის, რომლეთაც არ აქვთ დამთავრებული მასობრივი კომუნიკაცი/ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა, ან პროგრამამ მისცეს საშუალება დოქტორანტს, დაშვების ფარგლებში , წინამდებარე კურსების კომპეტენცია შეივსონ კურიკულუმს მიღმა აქტივობის საფუძველზე წინა საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებზე;
5. გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება;
6. სოციალური კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა;
7. გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით;
8. დაემატოს მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების არჩევითი კურსი;
9. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus და Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
10. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
11. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის/კვლევის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის/კვლევის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით;
12. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი კვლევითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით კვლევით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს;
13. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება, სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;

14. საჭიროა პროგრამამ მოიზიდოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევრები, რომლებიც ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას გაუწევენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს;
15. ბიუჯეტს უნდა დაემატოს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერის სქემა;
16. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
17. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის გადამუშავება განხორცილედეს ინსტიტუციური სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც მიზნებშიც აისახება;
2. რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B 2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთვისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს;
3. სასწავლო კურსის: „პროფესორის ასისტენტობა“, სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა და, გარდა ამისა, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის;
4. სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს დოქტორანტურის პროგრამის დებულებაში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც დოქტორანტს დისერტაციაზე მუშაობაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება;
5. სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად;
6. სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება;
7. სასურველია ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი ხარჯები;
8. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის

მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;

9. სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე;
10. სასურველია მომზადდეს ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელიც დართული ქონდა საბაკალავრო და პროგრამების თვითშეფასების თანმხლებ დოკუმენტებს. შედარებითი ანალიზი პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობას მისცემდა გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები და გამოცდილება დარგის კვლევებში;
11. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად , სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს სხდომა გაგრძელებულიყო 29 დეკემბერსაც. საბჭომ სრულად დაუჭირა მხარი აღნიშნულ საკითხს

მერვე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 30 სექტემბრის N87 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	1.პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი 2. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32. უნივერსიტეტის a, c და d კორპუსები
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნა იყო დადებითი და ასევე მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია: მისანიჭებელი კვალიფიკაციების (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science) და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations) სპეციფიკის შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავებები გამოკვეთილ და ასახულ იქნას პროგრამის მიზნებში.
2. რეკომენდირებულია: მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს სწავლის შედეგები, მოხდეს მათში დარგობრივი სპეციფიკის, ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურიბის (არსებობის შემთხვევაში) ასახვა.
3. რეკომენდირებულია : დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმად, რადგან ის წარმოადგენს პროგრამის შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამის გუნდს უკეთ დაინახონ პროგრამის ცალკეულ კომპონენტში განსახორციელებლი ცვლილებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც მიმდინარეობდა პროგრამის განახლებაზე მუშაობა, ინსტიტუციამ ნახა სხვა ანალოგიური პროგრამების მიზნები და შედეგები. მისი თქმით, ბევრი დამთხვევა იყო ზოგადად პოლიტიკის მეცნიერებების და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, ხოლო მათი პრიორიტეტები მიზნების დონეზე განისაზღვრა კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარენის ნაწილში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებაშიც მიზანი იყო ანალოგიური და ფოკუსი გაკეთდა კვლევით კომპეტენციაზე და ანალიტიკურ უნარებზე, რაც სამაგისტრო საფეხურისთვის უფრო მნიშვნელოვანია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სწავლის შედეგები არ არის ზოგადი, ის ასახავს უშუალოდ სამაგისტრო საფეხურის სპეციფიკას და იმ მნიშვნელოვან კომპონენტებსა და თეორიებს, რომლებიც საჭიროა ორივე მიმართულებით. აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად, ხოლო შემდგომ მაჩვენებლის მიხედვით მიიღება გადაწყვეტილებები. აკადემიური მოსწრების შესახებ ანალიზი ასახავს ინდივიდუალურ სტუდენტებზე მორგებული ინტერვენციების საჭიროებას, რის საფუძველზეც მათთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ დასაქმების კვლევა, წარმოდგენილი იყო, როგორც შრომის ბაზრის კვლევა. საბჭოს წევრი დიანტერესდა, ხომ არ იყო წარმოდგენილი სხვა დოკუმენტი. მისი თქმით, თუ კი წარმოდგენილია მხოლოდ დასაქმების კვლევა, ეს არ არის საკმარისი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ საინტერესო სილაბუსია მოცემული არჩევით სავალდებულო ბლოკში, „პოლიტიკური ეკონომიკა". თუმცა, აღნიშნულ კურსს არ აქვს წინაპირობა. ის დაინტერესდა, თუკი მოვა სტუდენტი, რომელსაც არ ექნება მინიმალური განათლება ეკონომიკის მიმართულებით, როგორ დაძლევს აღნიშნულ სასწავლო კურსს. საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული ლიტერატურის სტილი განსხვავებულად იყო წარმოდგენილი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ იყო ეს ინსტიტუციის მიდგომა, ან რამ განაპირობა აღნიშნული

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში არის ორი კურსი, რომლებიც უკავშირდება კვლევის მეთოდებს, ერთი არის სტატისტიკური მეთოდები მეორე კი დიზაინი, რომლებიც არიან ერთმანეთის წინაპირობები. საბჭოს წევრი დაინტერესდა ინსტიტუციის მიდგომით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან როგორც მან აღნიშნა დიზაინში, რაოდენობრივ კვლევაზე არ არის აქცენტი გაკეთებული.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბაზრის კვლევისას, უსდ ატარებდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, სადაც ნაწილობრივ არის მოცემული კითვები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ბაზრის მოთოვნებიდან გამომდინარე დადგინდეს რამდენად არის შესაბამისი პროგრამა ბაზრის მოთხოვნებთან, თუმცა ასევე აღნიშნული პროგრამისთვის გაკეთდა ცალკე ფოკუს ჯგუფი, უსდ-მ მოიწვია რამოდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი, რისი ანგარიშიც წარმოდგენილია პროგრამის დანართებთან ერთად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტილთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ წარმოდგენილი ნაშრომები შესრულებული იყო წინაპერიოდის განმავლობაში, თუმცა მისი თქმით ახლა დიდი ყურადღება ეთმობა სტილის დაცვას. წესები შემოტანილია, იმ დანართებში და კონცეფციებში, რომელიც გაკეთდა სამაგისტრო ნაშრომის რეგულირების ნაწილში, სადაც მკაფიოდ ჩაიდო ინსტრუმენტები, თუ როგორ უნდა იყოს დარეგულირებული აღნიშნული კომპონენტი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გარდა აკადემიური წერის კურსებისა, რომელიც პროგრამის ფარგლებში არის გათვალისიწინებული, უსდ რეგულარულად ატარებს დამატებით ტრენინგებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გვალიამ ეკონომიკის კურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფაგლებში სტუდნეტების მიღება ხდება ინტენსიური გასაუბრების ფორმატით, რომელიც გარდა იმისა, რომ გულისხმობს მათი მოტივაციის, ენობრივი კომპეტენციის შეფასებას, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა სტუდნეტების დარგობრივი კომპეტენციის შეფასებას. დარგობრივი კომპეტენციის შეფასების ნაწილში, კითხვები ეხება საერთაშორისო ეკონომიკის, პოლიტიკური ეკონომიის საბაზისო დონეზე ცოდნას. საბოლოო ჯამში რეიტინგი განისაზღვრება დარგობრივი ცოდნის საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში არის ინტეგრირებული სავალდებულო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები", რომელიც ცალსახად ეკონომიკურ საკითხებს არ შეეხება, თუმცა არის ინტეგრირებული გარკვეული ეკონომიკური თეორიები, აქედან გამომდინარე, აღნიშნული კურსი ქმნის გარკვეულ საბაზისო. ასევე, უსდ-ში არჩევით კურსებთან მიმართებაშ არის პრაქტიკა, რომ სტუდნეტებს აქვთ შესაძლებლობა კურსი გადაირჩიონ პირველი ორი კვირის განმავლობაში. მაგალითად, პირველი ორი კვირის განმავლობაში სტუდენტი დაინახავს, რომ თემატიკა, კურსის სირთულე სცდება მის შესაძლებლობებს, მას შეუძლია გადაირჩიოს სასწავლო კურსი.

დაწესებეულების წარმომადგენელმა, გიორგი ოდოშაშვილმა განმარტა, რომ პოლიტიკის და ეკონომიის კურსი არის არჩევითი და სტუდნეტებს აქვთ შესაძლებლობა სხვა საბაზისო კურსები აირჩიონ. „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“ და „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“ სასწავლო კურსებთან მიმართებაში დაწესებულების წრამომადგენელმა განამარტა, რომ ტექნიკური შეცდომა გაიპარა წინაპირობასთან მიმართებაში. სტატისტიკის კურსი არ არის „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“ კურსის წინაპირობა. „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“ არის მეთოდოლოგიაზე და დიზაინზე ორიენტირებული, რომელიც ერთგვარი მოთელვაა სტუდენტისთვის სამაგისტრო ნაშრომის წინ.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ დააზუსტა შეკითხვა და აღნიშნა, რომ სტატისტიკის კურსი არის სავალდებულო. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომაა სჭირდებოდა ამ დოზით სავალდებულო კურსად სტატისტიკა.

დაწესებულების წრამომადგენლმა, გიორგი გვალიამ განმარტა, რომ სტატისტიკის კურსით, იფარება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“ ძირითადად არის ფოკუსირებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაზე, რომელიც გარდა იმისა, რომ თვისებრივი კვლევების მეთოდების კუთხით უვითარებს სტუდნეტს გარკვეულ კომპეტენციებს, ასევე ეხება, მეცნიერების ფილოსოფიის საკითხებს. სტატისტიკის ცოდნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად ხდებოდა სტატისტიკური მონაცემების გამოყენება.

პროგრამაზე სტატისტიკის სასწავლო კურსი ისწავლება ორი მიზნით, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებმა თავად შეძლონ გარკვეული მეთოდების და მიდგომების გამოყენება და მინიმუმ მათ შეძლონ გააზრება, სხვა კვლევებში გამოყნებული სტატისტიკური მიდგომებისა და მეთოდების. სტატისტიკის სავალდებულო კომპონენტად ჩადება განაპირობა იმან, რომ ამით იფარება რაოდენობრივი კვლევების ასპექტები.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა პროგრამის სტურქტურასთან დაკავშირებით სწავლის შედეგების ნაწილში და აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოდგენილია ორი კვალიფიკაციით და პროგრამის სტრუქტურა ისე აგებული, რომ თავისუფლად იძლევა საშუალებას, რომ ეს იყოს სრულფასოვანი 60 კრედიტიანი ორი დამოუკიდებელი კონცენტრაცია. გეგმა ისეა აგებული, რომ 30 კრედიტი სავალდებულოა. საბჭოს წევრის განმარტებით თუ კი აღნიშნული კონცენტრაციაა, ეს უნდ აიყოს გაწერილი ცალკე როგორც ამას ითხოვს 69/ნ ბრძანება, რადგან კვალიფიკაციაც ორია და 60 კრედიტიც ამის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო 6 შედეგიდან ბოლო სამი შედეგი ნამდვილად ზოგადია და არ არის დარგზე ორიენტირებული.

ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნულ საკითხი განიხილა პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე. მოწოდებული სილაბუსების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ შესაძლებელია ორი კვალიფიკაცია იქნას მინიჭებული. თუმცა ექსპერტებს დისკომფორტს უქმნიდა ის, რომ შედეგები არ არის კონკრეტული, რადგან გამოვიდა, რომ მიზანი და შედეგი იყო მსგავსი. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოსაზრება, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მხოლოდ პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა, რადგან შედგები განსხვავდება ერთამენთისგან, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ პროგრამა თავისი სილაბუსებით და კურსებით იყო კონცენტრირებული პოლიტიკისთვის ცალკე და საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ცალკე, რეკომენდაცია გაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ შედეგები დაკონკრეტებულიყო ამ კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ კონცენტრაციის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული კვალიფიკაციის ცვლილება. კონცენტრაცია და კონცენტრაციასთან დაკავშირებული რეგულაცია, რომელიც მითითებული არის სფეორების კლასიფიკატორის დოკუმენტში არ ითვალიწინებს პროგრამაში სხვადასხვა კვალიფიკაციების მინიჭების საკითხს. რეგულაციის მიხედვით კონცენტრაცია არ უნდა იწვევდეს კვალიფიკაციის

ცვლილებას, ამ შემთხვევაში ვრცელდება ის მოთხოვნა, რაც ეკუთვნის კრედიტების რაოდენობას ან პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციის დაზუსტებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში წარმოდგენილია 2 მიმართულება, სადაც გათვალისიწნებულია 2 კვალიფიკაციის მინიჭება, რომელიც განეკუთვნება პოლიტიკის მეცნიერებების დეტალურ სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, სადაც მოცემულია მკაფიო განმარტება, რას უნდა მოიცავდეს ამ მიმართულების პროგრამები. უსდ გაეცნო სხვა მსგავს სამაგისტრო საფეხურის პროგრამებს და პროგრამების სფეციფიკა იყო ის, რომ ისინი ავითარებენ ექვივალენტურ სწავლის შედეგებს. რაც ნიშნავს, იმას, რომ ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანია თეორიული ჩარჩოების, სისტემური, საჭირო დარგობრივი საკითხების, დებატებისა და თანამედროვე პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევაზე დაფუძვნებული ცოდნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 00:13
დასრულების დრო: 00:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციების (პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი (Master of Political Science) და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (Master of International Relations)) სპეციფიკის შესაბამისად შინაარსობრივი განსხვავებები გამოკვეთილ და ასახულ იქნას პროგრამის მიზნებში;
2. რეკომენდებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად დაკონკრეტდეს სწავლის შედეგები, მათში აისახოს დარგობრივი სპეციფიკა, ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა;
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში შედეგები რეფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა;
5. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება; სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი გამოიყენოს პროგრამის მონიტორინგის მექანიზმად, რადგან ის წარმოადგენს პროგრამის შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამის გუნდს უკეთ დაინახონ პროგრამის ცალკეულ კომპონენტში განსახორციელებლი ცვლილებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
2. საგანმანათლებლო პროგრამაში სტაჟირება/პრაქტიკის კომპონენტის დამატება;

3. სასურველია, კომპეტენციათა რუკაში, სადაც სწავლის შედეგების მიხედვით იდენტიფიცირებულია დარგობრივ კომპეტენციაზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მეტი სიცხადისთვის, მიეთითოს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.;
4. სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადახედოს ამ ეტაპისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების რუკას მასში არსებული უზუსტობებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით;
5. მიღების პირობებს დაემატოს დათქმა (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტების) B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის პირობებში,სტუდენტის ინგლისურის გამოცდიდან გათავისუფლების შესახებ;
6. სასურველია, წარმოდგენილი სასწავლო გეგმების მიხედვით გასწორდეს წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებში „სტატისტიკური მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში“ და „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებაში“. თოთოეული სასწავლო კურსი სილაბუსების მიხედვით ერთმანეთის წინაპირობას წარმოადგენს;
7. სასურველია სასწავლო კურსს „პოლიტიკური ეკონომიკა“ განისაზღვროს რელევანტური წინაპირობა კურსის შინაარსის შესაბამისად;
8. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში;
9. სასურველია, გარე შემფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების, შედეგების, სასწავლო გეგმის, სასავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის სიღრმისეულ და დეტალურ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 2021 წლის 29 დეკემბერს 00:31 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ